

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ცენტრალური სალექციო ბიურო.



3. გუგუნიძე

მაქსიზმ-ლენინიზმი კავშირდროში სოციალიზმში გარდასვლის სხვადასხვა ფორმების შესახებ

(მასალები ლექციისათვის)

თბილისი
1956 წ.

1949
ქართული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
ცენტრალური საღებავი ბიურო

3. გუგუნიძე

გაკეთიზმ-ღენინიზმი
კაკიგადიზმიღან სოციაღიზმი
გადანკდის სხვადანსხვა
უორგების შესახებ

(მასაღები ლექციისათვის)

K 69.644
3

სკკ-2000
შემოწმებულია



3030105-821 კან სსრკ 105-822 კან
ფსკ



ავტორი — ვახტანგ მოხესძე გურგენიძე

რედაქტორი — ისტორიულ მეცნ. კანდიდატი მ. ვ. ახოზაძე

შეკვ. № 1053.

უე 08249.

ტირაჟი 1000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფიკამოწყობის 1-ლი სტამბა.
თბილისი, ორჯონიკიძის ქ., 50.

1. შესავალი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ სხვა ძირეულ საკითხებს შორის განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო კაპიტალიზმიდან სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის საკითხს. ყრილობაზე აღინიშნა, რომ მსოფლიო სარბიელზე მომხდარმა ისტორიულმა ცვლილებებმა ხელსაყრელი პერსპექტივები და პირობები შეუქმნეს არასოციალისტური ქვეყნების ხალხებს სოციალიზმის გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

ამჟამად, როდესაც სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა, კაპიტალისტური სამყაროს მუშათა კლასისა და მათი ხელმძღვანელი პარტიების წინაშე მთელი სიმძაფრით დადგა სოციალისტური რევოლუციის მოხდენისა და მისი გამარჯვებისათვის ბრძოლის აუცილებლობის საკითხი. კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავი მშრომელები ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე თანდათან რწმუნდებიან, რომ ექსპლოატაციის, ჩაგვრის, გაჭირვების, კრიზისების, ომებისა და სხვა საშინელებათაგან ხსნის ერთადერთი გზა კაპიტალისტური სახელმწიფოს დამხობისა და სოციალისტური სახელმწიფოს აშენების გზაა.

საბჭოთა სახელმწიფოს, ევროპისა და აზიის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკულმა გამოცდილებამ დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე ყველა ქვეყნის გადასვლა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის გზით — არსებული ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამსხვრევითა და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამყარებით. ეს ისტორიული მისია უნდა შეასრულოს მუშათა კლასმა რევოლუციური დიქტატურის დამყარებით.

ცნობილია, რომ მარქსმა და ენგელსმა მონობოლიზმამდელი კაპიტალიზმის შესწავლის საფუძველზე გენიალური შორსმჭვრეტელობით განსაზღვრეს გარდუვალობა კაპიტალიზმის შეცვლისა სო-

ციალიზმით, ცხადყვეს მუშათა კლასისა და მისი პარტიის გადმწყვეტი როლი სოციალისტურ რევოლუციაში. მათ მეცნიერულად დაასაბუთეს, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის განსახორციელებლად პროლეტარიატი ერთიანდება კლასად, ძალდატანებით სპობს ძველ წარმოებით ურთიერთობას, კლასობრივი დაპირისპირების საარსებო პირობებს და აშენებს უკლასო საზოგადოებას. 1875 წელს „გოთას პროგრამის კრიტიკაში“ მარქსი წერდა: „კაპიტალისტურ და კომუნისტურ საზოგადოებას შორის მდებარეობს ერთი მეორედ რევოლუციური გარდაქმნის პერიოდი. ამ პერიოდს შეესაბამება აგრეთვე პოლიტიკურად გარდამავალი პერიოდი, რომლის დროს სახელმწიფო არ შეიძლება სხვა რამ იყოს, თუ არ პროლეტარიატის რევოლუციური დიქტატურა“¹. ამ შესანიშნავ დასკვნას გოთას პროგრამის კრიტიკაში ვ. ი. ლენინი თვლიდა მარქსის „მთელი რევოლუციური მოძღვრების შემაჯამებლად“.

ანარქისტები (პრუდონი და სხვ.) უარყოფდნენ პროლეტარიატის მიერ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიმართ ორგანიზებულ ძალადობას; იცავდნენ სახელმწიფოს „დღეს-ხვალ დაუყოვნებლივ აფეთქების“ იდეას, ილაშქრებდნენ ცენტრალიზებული ხელისუფლების წინააღმდეგ; არ სცნობდნენ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს არსებობის საჭიროებას, წარმოდგენა არ ჰქონდათ იმაზე, თუ რით უნდა შეცვლილიყო ძველი სახელმწიფოებრივი მანქანა².

კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა თავიანთ შრომებში, გამანადგურებელი კრიტიკით უპასუხეს რა ანარქისტებს, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების გამოყენებით დაამტკიცეს, რომ საზოგადოება იმყოფება მუდმივ განვითარებაში დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ და აუცილებელია, რომ პროლეტარიატმა თავისი ავანგარდის ხელმძღვანელობით მოსპოს კაპიტალისტური საკუთრება, მოსპოს ექსპლოატაციის მთელი სისტემა, მოსპოს ყველა ის მიზეზი, რომელთაც შეუძლიათ წარმოშვან ბურჟუაზიული საკუთრება და ექსპლოატაცია; მიუთითეს, რომ პროლეტარიატის დიქტატურა ყველაზე პროგრესული და კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უკანასკნელი დიქტატურაა, რომელიც თავისი ბუნებით ძირეულად განსხვავდება ექსპლოატატორული კლასების ყოველგვარი დიქტატურისაგან.

იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში მარქსისტულმა თეორიამ პროლეტარული რევოლუციის შესა-

¹ კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 27.

² იხ. კ. მარქსის შრომა „ფილოსოფიის სიღატაკე“.

ხებ შემდგომი განვითარება მიიღო ვ. ი. ლენინის შრომებში.
ვ. ი. ლენინმა ამხილა რა ოპორტუნისტების უზადრუკი ცდებები
მარქსიზმი გადაეცემათ რევოლუციური მოძღვრებიდან ცხოვრებას
წოწყვეტილ გამოუყენებელ ფორმულათა კრებულად, რომელიც
უსარგებლო იქნებოდა მუშათა კლასისათვის, — დაიცვა მარქსიზმის
თეორიული საგანძური და პასუხი გასცა ყველა იმ ძირითად კითხვაზე,
რომლებიც ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა, განვითარების
ისტორიულმა აუცილებლობამ წამოაყენა. მარქსისტულ თეორიაზე დაყრდნობით
ლენინმა სხვა გენიალურ დასკვნებს შორის მოგვცა დებულება იმის შესახებ,
რომ შესაძლებელია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება თავდაპირველად
ზოგიერთ ან თუნდაც ერთ, ცალკე ადებულ ქვეყანაში; რომ სოციალიზმის
აშენებისათვის საჭიროა პროლეტარიატის მტკიცე დიქტატურა და, რომ
„მარქსისტი მხოლოდ ის არის, ვინც კლასების ბრძოლის აღიარებას
პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე განაგრძობს“¹. მაგრამ პროლეტარული რევოლუციის
გამარჯვება შეუძლებელია, — გვასწავლის ლენინი — თუ არა გყავს რკინის-
ბური და ბრძოლაში გამოწრთობილი პარტია, ისეთი პარტია, რომელიც
სარგებლობს თავისი კლასის ყველა პატიოსანი ელემენტების
ნდობით, თუ არა გყავს პარტია, რომელსაც შეუძლია თვალყური
ადევნოს მასის განწყობილებას და გავლენა მოახდინოს მასზე².

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ მთლიანად და
სავესებით დაადასტურა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სოციალისტური
რევოლუციის მოხდენისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების
აუცილებლობის შესახებ. გლენხობასთან მჭიდრო კავშირში რუსეთის
მუშათა კლასმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეძლო
განეხორციელებინა სახალხო მეურნეობის მბრძანებელი სიმაღლეების
დაპყრობა, კერძო კაპიტალისტური და მემამულური საკუთრების
გაუქმება, ექსპლოატატორული წინააღმდეგობის დათრგუნვა, იმპერიალისტური
სახელმწიფოების სამხედრო ინტერვენციის განადგურება; მუშათა
კლასის დიქტატურის ხელმძღვანელობა როლმა უზრუნველყო საბჭოთა
კავშირის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის
კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის განხორციელება და სოციალისტური
საზოგადოების აშენება; მხოლოდ საბჭოთა საზოგადოებრივ წყობილებას
შეეძლო ეჩვენებინა მსოფ-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 25, გვ. 506 — 507.

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 35 — 36.



ლიოსათვის სიცოცხლისუნარიანობა და უძლეველობა როგორც მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, ისე დიდ სამამულო ომში.

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით მსოფლიო არენაზე განისაზღვრა საზოგადოებრივი განვითარების ორი ძირითადი ხაზი — მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის, მისი გავლენის სფეროების შემცირების ხაზი და სოციალისტური სისტემის განუხრელი გაფართოებისა და განმტკიცების ხაზი.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა კავშირმა, რომელიც ფაშიზმის განადგურების მთავარი ძალა გახდა, იხსნა ევროპის ცივილიზაცია და დაეხმარა აღმოსავლეთის ხალხებს იაპონიის მილიტარიზმის მოსპობაში. ამ წარმატებებმა მთელ კაცობრიობას უჩვენეს ბრწყინვალე მომავლის ნათელი გზა.

სსრ კავშირის არსებობასთანაა დაკავშირებული სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმოქმნა ევროპასა და აზიაში, სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის შექმნამ დაამტკიცა სოციალიზმის განვითარების კანონზომიერება და კიდევ უფრო გაამდიდრა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის მარქსისტული თეორია. სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმოქმნა მარქსიზმ-ლენინიზმის ახალი გამარჯვებაა; მან დაადასტურა ლენინის გენიალური შორსმჭვრეტელობა იმის შესახებ, რომ „კაპიტალიზმიდან კომუნისმზე გადასვლამ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება არ მოგვეცეს პოლიტიკური ფორმების დიდი სიმრავლე და ნაირნაირობა, მაგრამ არსი ამასთან გარდუვალად ერთი იქნება: პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“¹.

სოციალისტური განვითარების გზით მიმავალი თითოეული ქვეყანა ამჟამად სოციალიზმს აშენებს თავისი სახელმწიფოს ისტორიული განვითარების, ეკონომიური და პოლიტიკური პირობების თავისებურებათა გათვალისწინებით.

2. ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმოშობა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ისტორიული მოვლენაა. ამ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ პრაქტიკულად დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური დებულება იმის შესახებ, რომ კაპიტალისტური საზოგადოებიდან სოციალისტურში გადასვლა არ ხდება ერ-

¹ ვ. ი. ლენინი, ოხზ., ტ. 25, გვ. 508.



თიანი ნიმუშით, ერთიანი შაბლონით და რომ სოციალიზმში ვადას-
 ვლის ფორმების საკითხი უნდა გადაწყდეს კონკრეტულად თითოე-
 ული ქვეყნის პირობების მიხედვით, ახალი ისტორიული გამოცდი-
 ლების საფუძველზე. დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1916 წელს შრო-
 მაში „მარქსიზმის კარიკატურისა და იმპერიალისტური ეკონომიზ-
 მის“ შესახებ“ წერდა: „ყველა ერი განახორციელებს სოციალიზმს,
 ეს აუცილებელია, მაგრამ ყველა განახორციელებს არა სავსებით
 ერთნაირად; თითოეული შეიტანს თავისებურებას დემოკრატიის ამა
 თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახეს-
 ხვაობაში, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეთა სო-
 ციალისტური გარდაქმნის ამა თუ იმ ტემპში“¹.

საბჭოთა წყობილება ჩვენს ქვეყანაში და სახალხო დემოკრა-
 ტია ევროპისა და აზიის ქვეყნებში წარმოადგენენ პროლეტარიატის
 დიქტატურის სხვადასხვა ფორმებს. ამ ნაშრომში ჩვენ არ შევუდგე-
 ბით საბჭოების როგორც სახელმწიფოებრივი ფორმის დახასიათე-
 ბას. ეს საკითხი ყველასათვის ნათელია. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ
 ყველა ამ ქვეყანას აქვს ერთი მიზანი — ძველი საზოგადოებრივი
 წყობილების დამხობის საფუძველზე ააშენოს სოციალიზმი და გა-
 ნახორციელოს მის უმაღლეს საფეხურზე — კომუნიზმზე გადასვლა.

სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებმა როგორც სოციალისტური
 რევოლუციის განვითარებისა და პროლეტარიატის დიქტატურის
 დამყარების საკითხში, ისე სახელმწიფოებრივი მმართველობის
 ფორმებსა და სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების ძირითად სა-
 კითხებში შეიტანეს მთელი რიგი თავისებურებანი, სიახლენი, გაამ-
 დიდრეს სოციალისტური რევოლუციის თეორია და, ამრიგად, დაა-
 დასტურეს ის უდავო ჭეშმარიტება, რომ მარქსიზმი დოგმა კი არ
 არის, არამედ მოქმედებისათვის სახელმძღვანელოა, რომელიც ის-
 ტორიულ მსვლელობაში მოწმდება ივსება და ვითარდება.

ძირითადი თავისებურებანი სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში
 არის ის, რომ აქ, საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, რევოლუ-
 ცია ვითარდებოდა მუშათა კლასის, მთელი მშრომელი გლეხობის,
 ქალაქის წვრილი ბურჟუაზიასა და ინტელიგენციასთან ერთიანი სა-
 ხალხო ფრონტით. შედარებით ნაკლებად იქნა გამოყენებული სა-
 ხელმწიფოს ძალდატანებითი, იძულებითი ფუნქცია. თითქმის ყველ-
 გან ბურჟუაზიულ ელემენტებს (სამხედრო დამნაშავეებს გარდა)
 არ ჩამორთმევიათ საარჩევნო უფლებები, მაშინ როდესაც ჩვენს
 ქვეყანაში საარჩევნო უფლებები ჩამორთმეული ჰქონდა ყველა ექს-

¹ ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 81.



პლოტატორულ ელემენტს. ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში განსაკუთრებულ დრომდე და ნაწილობრივ ამჟამადც ნახულია ძველი სახელმწიფოებრივი კანონები და ტრადიციები, თუმცაღა რევოლუციური გარდაქმნების საფუძველზე, მმართველობის ეს ძველი ფორმები (მონარქიული, რესპუბლიკური) ემსახურება ახალ, სოციალისტურ შინაარსს. ასევე ითქმის ბურჟუაზიის ზოგიერთი წარმომადგენლის მონაწილეობაზეც სახელმწიფო მმართველობაში, რომელიც მუშათა კლასის ხელშია.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება საბჭოთა წყობილებისაგან ისაა, რომ ალბანეთს გარდა, სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს მრავალპარტიულობა, რომელიც, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენს მულტიპარტიულ ფაქტორს.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების რევოლუციურ პროცესში არსებული კონკრეტულ-სპეციფიკური განსხვავებანი გამოწვეულია, ერთი მხრით, ამ ქვეყნების ისტორიული პირობებით და, მეორე მხრით, ძლიერი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობით.

მთავარი მსგავსება განაპირობა იმან, რომ ყველა ეს ქვეყანა დაპყრობილი, დამონებული იყო იმპერიალისტების მიერ. ამიტომ, მიუხედავად სოციალ-ეკონომიური განვითარების დონის სხვადასხვაობისა, მათ წინაშე დაისახა ერთი საერთო მიზანი — გაეღვენათ იმპერიალისტები, გაენადგურებინათ შინაგანი რეაქციონერები, მოეპოვებინათ ნაციონალური დამოუკიდებლობა და დემოკრატიული თავისუფლება. ეს რევოლუციური გარდაქმნები იყო არა სოციალისტური, არამედ საერთო-დემოკრატიული, ანტიიმპერიალისტური, რომელიც შეიცავდა სოციალისტური გარდაქმნების ელემენტებს და ამით ასუსტებდა კაპიტალიზმის საფუძვლებს, ამზადებდა პირობებს სოციალისტური რევოლუციისათვის.

სოციალისტური რევოლუციის პირველი ეტაპი დაიწყო 1944 — 45 წლებში (სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს). პროლეტარიატის დიქტატურამ გაიმარჯვა რევოლუციური გარდაქმნის მეორე ეტაპზე (1947 — 48 წლებში). რეაქციული ძალები ძირითადად განადგურებულ იქნა რევოლუციური განვითარების დემოკრატიულ ეტაპზე.

განვითარების პირველ საფეხურზე სახელმწიფო წყობილება იყო ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური, რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა ხალხის ფართო მასებისა; იგი განსხვავდებოდა ბურჟუაზიული დიქტატურისაგან, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მუშათა კლასის დიქტატურა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. პროლეტარიატის დიქტატურამ, როგორც ზემოთ აღვნიშ-



ნეთ, თავის დასრულებულ ფორმას მიიღწია სახალხო დემოკრატიის განვითარების მეორე ეტაპზე. რევოლუციურ მსვლელობაში ველ რიგში ლიკვიდირებულ იქნა მშრომელთა ჩაგვრის ორგანოები: პოლიცია, სასამართლო, ჟანდარმერია და ა.შ. ჯერ კიდევ ჰიტლერელ დამპყრობლებთან ბრძოლაში შეიქმნა სახალხო არმიები. თანდათანობით მოხდა სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო ორგანოების ჩამოყალიბება. ამ და სხვა რევოლუციურმა პროცესებმა ბურჟუაზიასა და მათ პარტიებს ხალხში თანდათან დაუკარგა ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა. სახალხო რევოლუციურ გარდაქმნებში ძირითადი ხელმძღვანელი როლი ყველგან ეკუთვნოდა მუშათა კლასსა და მის პარტიებს.

ევროპის ქვეყნებში პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება მიმდინარეობდა შედარებით მშვიდობიანად, შეიარაღებული აჯანყების გარეშე. ამ რევოლუციამ გაიმარჯვა არა „ერთი დარტყმით“, როგორც ეს ჩვენთან მოხდა, არამედ თანდათანობით, რამდენიმე წლის მანძილზე. რევოლუციური გარდაქმნები მიმდინარეობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით კლასთა ბრძოლის პირობებში, მხოლოდ ეს ბრძოლა არ გადაქცეულა სამოქალაქო ომად. ზოგიერთ ქვეყანაში არსებული ადგილობრივი ბურჟუაზია ცდილობდა და ამჟამადაც ცდილობს (უნგრეთის მაგალითი) იმპერიალისტების დახმარებით გააჩაღოს სამოქალაქო ომი, მაგრამ მშრომელი ხალხის გადამწყვეტი წინააღმდეგობა და ამ ქვეყნებისადმი საბჭოთა სახელმწიფოს მხარდაქერა შესაძლებლობას არ აძლევს რეაქციონერებს განახორციელონ თავიანთი გეგმები.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში პრაქტიკულად განხორციელდა მარქსისტულ-ლენინური თეორია პერმანენტული (განუწყვეტელი) რევოლუციის შესახებ. ცნობილია, რომ მარქსმა და ენგელსმა, წამოაყენეს რა პერმანენტულ რევოლუციის იდეა, ჯერ კიდევ 1850 წლის მარტში მიუთითეს, რომ პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიის მიზანია რევოლუცია იყოს განუწყვეტელი მანამ, სანამ ჯერ კიდევ ასე თუ ისე იარსებებენ მქონებელი კლასები, სანამ მათ არ ჩამოაცილებენ ბატონობას და სანამ პროლეტარიატი თავის ხელში არ აიღებს სახელმწიფო მმართველობას¹.

ვ. ი. ლენინმა ახალ პირობებთან შეფარდებით განავითარა მარქსისტული მოძღვრება პერმანენტული რევოლუციის შესახებ. სტატიის „სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება გლეხთა მოძრაობისადმი“, რომელიც გამოქვეყნდა 1905 წლის სექტემბერში,

¹ კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 104.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ რუსეთის სინამდვილეში საჭირო პროლეტარიატმა ბოლომდე მიიყვანოს დემოკრატიული გადატრიალება, თავის მხარეზე გადმოიყვანოს გლეხთა მასები, მთელი ძალდონით დაეხმაროს მათ მოახდინონ დემოკრატიული რევოლუცია და გაუადვილოს პროლეტარიატის პარტიას, რაც შეიძლება მალე გადავიდეს მის ახალ და უმაღლეს ამოცანაზე — სოციალისტურ რევოლუციაზე. „...დემოკრატიული რევოლუციიდან, — წერდა ლენინი, — ჩვენ მაშინვე დავიწყებთ გადასვლას და სწორედ ჩვენი ძლიერების, შეგნებული და ორგანიზებული პროლეტარიატის ძლიერების დაკვალად, დავიწყებთ გადასვლას სოციალისტურ რევოლუციაზე. ჩვენ განუწყვეტელი რევოლუციის მომხრენი ვართ. შუა გზაზე ჩვენ არ შევჩერდებით“¹.

ევროპის ყველა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყანაში ამჟამად მიღებულია ახალი კონსტიტუციები, რომლებიც გამოხატავენ ამ ქვეყნების ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეულ ცვლილებებს. კონსტიტუციების მიღებით დაკანონდა მშრომელთა ხანგრძლივი ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ამრიგად, ევროპის სახალხო-დემოკრატიის ყოველ ცალკე აღებულ ქვეყანას სოციალისტური გარდაქმნის გზებსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანიზაციაში აქვს თავისებურებანი. ეკონომიური და კულტურული განვითარების გამოცდილება პოლონეთში, რუმინეთსა და ალბანეთში, სოფლის მეურნეობის კოოპერირების გამოცდილება ბულგარეთში, მნიშვნელოვანი მიღწევები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩეხოსლოვაკიაში და ბევრი სხვა რამ ამდიდრებს ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის გამოცდილების საგანძურს. ეს თავისებურებანი განაპირობა ისეთმა ძირითადმა ფაქტორებმა, როგორცაა საერთაშორისო სარბიელზე შექმნილი ხელსაყრელი პირობები, დიდი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობა და მისი გამოცდილება სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ქვეყნის ნაციონალური თავისებურებანი, ეკონომიური განვითარების დონე, ისტორიული ტრადიციები, ქვეყნის დემოკრატიზაცია, სახელმწიფოს შიგნით არსებული კლასები და მათი ურთიერთდამოკიდებულება.

განვიხილავთ რა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების განვითარებას, უნდა განმარტებულ იქნეს აგრეთვე საკითხები, თუ როგორი ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირს ამ ქვეყნებთან, როგორ ატა-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 9, გვ. 286.

რებენ სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოები ისეთ ძირითად ღონისძიებებს, როგორცაა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა და სხვ.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მტკიცე საფუძველი იყო და არის მეგობრული თანამშრომლობის პოლიტიკა, რომელიც ემყარება სრული თანასწორუფლებიანობის, ტერიტორიალური მთლიანობის პატივისცემის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს და გამსჭვალულია პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ასეთი ურთიერთობა პირველ რიგში გულისხმობს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთ-დახმარებას ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ დარგებში.

საბჭოთა სახელმწიფო სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების წარმოშობის პირველი დღიდანვე თანმიმდევრულად ახორციელებს სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის დიად პრინციპებს. ამასთან საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს ამ ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებს და ყოველმხრივ ცდილობს ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად და თავის დროზე შესრულებას. ამავე დროს სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა დროულად აღმოფხვრან ყველა ის დაბრკოლება, რომლებიც წარმოიშობა თავიანთი ქვეყნების დემოკრატიული საფუძვლების, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შემდგომი გამტკიცების გზაზე, რათა კიდევ უფრო განავითარონ თითოეული ქვეყნის სოციალისტური საფუძვლები, მისი ეკონომიკა, მისი კულტურა, გააუმჯობესონ მშრომელთა ცხოვრების პირობები.

სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების მოძმე კომუნისტურმა პარტიებმა კარგად იციან, რომ რაც უფრო მტკიცედ არის დაცული მათ შორის თანასწორობის, ერთმანეთის ინტერესებისა და უფლებების ურთიერთპატივისცემის პრინციპები, მით უფრო მტკიცეა ამ ქვეყნების ხალხთა მეგობრობა, მით უფრო მტკიცეა მშვიდობა, მით უფრო უიმედოა შავზნელი რეაქციული ძალების საქმე, მით უფრო მონოლითურია მთელი სოციალისტური მსოფლიო. ამიტომ მოძმე კომუნისტური პარტიები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით დემოკრატიულად გადაჭრან ყველა ძირითადი საკითხი და დროზე გამოასწორონ ის შეცდომები, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მათს მუშაობაში. საბჭოთა კავშირის მიერ უკანასკნელ პერიოდში მიღებული ღონისძიებები

იუგოსლავიასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან და სხვა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან, 1956 წლის 30 ოქტომბრის დეკლარაციის „საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისა და შემდგომი განმტკიცების საფუძვლების შესახებ“ და რიგი სხვა დოკუმენტები ამ მიმართულებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯებია.

კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები ახალი საზოგადოებრივი მშენებლობის პერიოდში შემოქმედებითად იყენებენ საბჭოთა კავშირის მდიდარ გამოცდილებას და ქმედითად ატარებენ საპირო ღონისძიებებს სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტულ ვითარებაში. ეს ისტორიული პროცესი მიმდინარეობს წინააღმდეგობებით აღსავსე პირობებში, ახალი, მუდმივ მზარდი სოციალიზმისა და ჯერ კიდევ არსებულ, მაგრამ მომაკვდავ კაპიტალიზმის ნარჩენებს შორის. მეურნეობის სოციალისტური სექტორი წარმოადგენს წამყვან სექტორს, რომელიც შეუჩერებლად იზრდება; მტკიცდება და გაბატონებულ ადგილს იკავებს მთელ სახალხო მეურნეობაში. ბურჟუაზია, რომელსაც მხარს უჭერენ იმპერიალიზმის რეაქციული წრეები, თავისი მრავალსაუკუნოვანი კერძომესაკუთრული ტრადიციებით გამოდის სოციალიზმისა და მშრომელი ხალხის წინააღმდეგ, ცდილობს შეაფერხოს პროლეტარიატის დიქტატურის საქმე. მაგრამ კლასთა ბრძოლის ეს ფორმები, რომლებიც თავის გამოხატულებას პოულობს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში, შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობს.

ამჟამად ბურჟუაზია სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში წარმოადგენს მცირერიცხოვან, შედარებით სუსტ კლასს და მას ძალია აღარ შესწევს წინ აღუდგეს მეურნეობის სოციალისტურ წარმოებას. მაგრამ სანამ არსებობს ბურჟუაზია, იარსებებს საშიშროებანიც. გარდაშვალ პერიოდში კაპიტალისტები შესაძლებლობის შემთხვევაში ყოველმხრივ შეეცდებიან აღადგინონ თავიანთი ბატონობა. ასევე იქცევიან ყოველთვის ძველი საზოგადოებრივი წყობილების დამცველნი. სწორედ ასე მოიქცა უნგრეთის ბურჟუაზიაც 1956 წ. ოქტომბერში.

ეკონომიური პოლიტიკა სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც განახორციელა ჩვენმა ქვეყანამ. ნებს, როგორც ლენინიზმი მიგვითითებს, ჰქონდა საერთაშორისო მნიშვნელობა და ამიტომ ყველა ქვეყანას, რომლებიც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადადის ადგილობრივი პირობების შესაბამისად, თავისებური ფორმით დას-



ქირდება მსგავსი ეკონომიური პოლიტიკის გატარება. ი. ზ. სტალინი 1928 წლის ივლისში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღნიშნავდა, რომ ნები არის პროლეტარული დიქტატურის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია კაპიტალისტური ელემენტების დაძლევისა და სოციალისტური მეურნეობის აშენებისაკენ ბაზრის გამოყენების წესით. „ამა თუ იმ სახით ახალი ეკონომიური პოლიტიკა მისი საბაზრო კავშირურთიერთობითა და ამ საბაზრო კავშირურთიერთობის გამოყენებით აბსოლუტურად აუცილებელია თვითთელი კაპიტალისტური ქვეყნისათვის პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში“¹.

ცნობილია, რომ დიდმა თუ პატარა ქვეყანამ, რომელიც დაადგა სოციალისტური განვითარების გზას, თანახმად საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონებისა უნდა განავითაროს უპირველეს ყოვლისა საწარმოო საშუალებათა წარმოება, — მოახდინოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომლის ბაზაზე განავითარებს სოციალისტურ სოფლის მეურნეობას და მიაღწევს სოციალიზმის ეკონომიურ გამარჯვებას კაპიტალიზმზე.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში, საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის ხასიათისა და ადგილობრივი კონკრეტულ-ისტორიული პირობების გათვალისწინებით, სხვადასხვა მეთოდებითა და ტემპებით ტარდება ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ სოციალისტური ბანაკის ყველა ქვეყანა სოციალიზმს აშენებს არა განმარტოებით, იზოლირებულად, არამედ ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების პირობებში. სხვანაირად შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან ისეთ ქვეყნებს, როგორც, მაგალითად, ალბანეთი, არ შეუძლია სოციალიზმის შენება დაიწყოს ინდუსტრიალიზაციით. ასეთ ქვეყნებს წარმოების საშუალებებს მოუმზადებენ სოციალიზმის ბანაკში შემავალი სხვა ქვეყნები. მაგრამ გაძლიერდება რა ეკონომიურად ასეთი ქვეყანა, თვითონ შეძლებს თავისი საჭიროებისათვის დაამზადოს აუცილებელი წარმოების საშუალებანი. ურთიერთობის ასეთი ფორმა არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევს ქვეყნის ეკონომიურად დამონებას. პირიქით, ასეთი ურთიერთკავშირი შესაძლებლობას მისცემს ამა თუ იმ ქვეყანას, რაც შეიძლება მალე განავითაროს თავისი სახალხო მეურნეობა, თავისი ნაციონალური კულტურა, იყოს დამოუკიდებელი, მაგრამ არა იზოლირებული. სწორედ ამიტომ სავალდებულო არაა და არც რენტაბელური იქნებოდა, რომ თითოეულმა პატარა ქვეყანამ შექმნას და განავითაროს თანამე-

¹ ი. ზ. სტალინი, თხზ., ტ. II, გვ. 159.

დროვე მრეწველობის ყველა დარგი. ასეთია ამჟამად სოციალისტური სისტემაში შემავალი ქვეყნების ურთიერთობის ბუნება, რაც თანამდროვე ისტორიული პირობებიდან გამომდინარეობს.

სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სხვადასხვანაირად და სხვადასხვა დროს ჩატარდა მრეწველობის, ტრანსპორტისა და ბანკების ნაციონალიზაცია. სხვადასხვაობაა სოციალისტური ეკონომიკის მშენებლობაშიც. საერთოდ კი სახალხო დემოკრატიული ქვეყნების მრეწველობის განვითარება დიდი მიღწევებით ხასიათდება. წლითიწლით იზრდება ინდუსტრიის განვითარების ტემპები. თუ ავიღებთ ამ ქვეყნების მრეწველობის განვითარების საერთო ომამდელ დონეს 100%-ად, 1948 წელში იგი გაიზარდა 122%, 1949 — 151%, 1950 — 185%, 1951 — 235%, 1952 — 281%, 1953 — 321%, 1954 — 345%. წარმოების ასეთი ზრდა განაპირობა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მტკიცე ურთიერთობამ. ასეთი პირობების გამო სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებს დიდი შესაძლებლობა ეძლევათ კიდევ უფრო სწრაფად განავითარონ მთელი სახალხო მეურნეობა. მიუხედავად ამისა, სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია ამ ქვეყნებში დაკავშირებულია დროებითი ხასიათის რიგ სიძნელეებთან, რომლებიც გამოწვეულია მრეწველობის ნედლეულით მომარაგების, კვალიფიციური მუშათა კადრების, ელექტროენერჯისა და სხვ. ნაკლებობით.

თავისებურებით ხასიათდება ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნები. ეს პროცესი მიმდინარეობს კლასთა ბრძოლის პირობებში. არსებობს განსხვავებები კონკრეტული მეურნეობების სპეციფიკასა და ფორმებში, როგორც თვით ამ ქვეყნებს შორის, ისე საბჭოთა კავშირთან შედარებით. მაგრამ ძირითადი განსხვავება ჩვენს ქვეყანასა და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის ისაა, რომ ყველა ამ ქვეყანაში შემონახულია მიწაზე კერძო საკუთრება, რომელიც, რა თქმა უნდა, დროებითია. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის მეურნეობის კოოპერირების მიმდინარეობისას წარმოიშვნენ საწარმოო კოოპერაციების ახალი ფორმები, რის საფუძველზეც სოციალისტური გარდაქმნის საქმეში სერიოზული წარმატებებია მიღწეული.

სოციალიზმის მშენებლობა იუგოსლავიაში მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება და მოითხოვს სპეციალურ განხილვას. ჩვენ არ შეუძლებელია ამ საკითხის დეტალურ გარჩევას, მხოლოდ აღვნიშნავთ რომ იუგოსლავიაში გამოყენებულია მართვისა და მეურნეობის თავისებური მეთოდები და ფორმები. წარმოებაში ხელმძღვანელობა დეცენტრალიზებულია თვითმმართველობის პრინციპ-



ზე. აქ დირექტორის გარდა არსებობენ მუშათა საბჭოები. ეს საბჭოები იუგოსლავიაში ცოტა ხნის წინათ გაჩნდნენ. მათ მმართველობის საქმეში ზოგიერთი დადებითი მხარეც გააჩნიათ.

მუშები წარმოებაში ხელფასს გარდა იღებენ შემოსავლის ნაწილს. განაწილება ხდება მუშათა საბჭოების მეშვეობით. მხოლოდ რაოდენობა განისაზღვრება წარმოების მიერ გაწეული მუშაობის შედეგების გათვალისწინებით. მუშათა საბჭოების ფუნქციებში შედის აგრეთვე წარმოების დაგეგმვა, საქონელზე ფასების დაწესება, მისი გასაღება, ნედლეულისა და მოწყობილობის შესყიდვა და სხვ.

სუსტია ქვეყნის ეკონომიკის გეგმიანობის მხარე. უკანასკნელი დონისძიებებით გააძლიერეს საბაზრო ურთიერთობა. ამან უარყოფითი გავლენა მოახდინა გეგმიანობაზე. საერთოდ კი სოციალიზმის საწყისებზე ეკონომიკის გარდაქმნა დაწყებულია, მაგრამ მისი დამთავრებისათვის ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

სოფლის მეურნეობა იუგოსლავიის ეკონომიკაში დიდ როლს ასრულებს. მარცვლეულის წარმოების დარგში ჯერ კიდევ არ არის მიღწეული ომამდელი დონე. სოფლად არ დამთავრებულა სოციალისტური გარდაქმნები. სოფლის მეურნეობაში მთავარი ადგილი ინდივიდუალურ მეურნეობას უჭირავს. არის სხვადასხვა ტიპის კოოპერაციული მეურნეობა. სოფლად დაცულია მიწის კერძო მესაკუთრეობა, ნებადართულია ყიდვა-გაყიდვა, მუშახელის დაქირავება; არიან მიწის დიდი მფლობელებიც. ვაჭრობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი კერძო სექტორს უკავია.

ქვეყნის ეკონომიკაში ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს ის დახმარება, რომელსაც იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა იღებს კაპიტალისტური სახელმწიფოებისაგან, პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებისაგან.

თავისებურებებით ხასიათდება იუგოსლავიის სახელმწიფო ორგანოების მუშაობაც.

ასევე სხვაგვარად მიმდინარეობს და ცალკე შესწავლას მოითხოვს რევოლუციური გარდაქმნები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ამრიგად, თითოეულ თავისუფალ ქვეყანას, რომელიც თავის ისტორიას ქმნის, შესაძლებლობა ეძლევა შეიტანოს და კიდევაც შეაქვს თავისებურებანი დემოკრატიის ამა თუ იმ ფორმაში, პროლეტარიატის დიქტატურის ამა თუ იმ სახესხვაობაში, გვიჩვენებს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვათა გარდაქმნის თავისებურებებს, რითაც ამდიდრებს სოციალიზმისათვის ბრძოლის მსოფლიო გამოცდილებას.

3. სოციალისტური რევოლუციის განვითარება ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებში

მსოფლიო მნიშვნელობის უდიდეს მოვლენას წარმოადგენს მშრომელთა ხელისუფლების დამყარება ჩინეთში. ისტორიულმა გამარჯვებამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალიზმის მსოფლიო სისტემას და ახალი ძალები შემატა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკს, შეცვალა ძალთა თანაფარდობა საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის ბანაკში შემავალი ქვეყნების სასარგებლოდ.

გადამწყვეტი მბრძანებელი მალღობების დაპყრობის საფუძველზე ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო ახორციელებს კერძო მრეწველობისა და ვაჭრობის მშვიდობიანი გარდაქმნისა და სოციალისტური ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად მათი თანდათანობით გადაქცევის კურსს.

სოციალისტური საზოგადოების შექმნის საქმეში თავისი ქვეყნის კონკრეტული ისტორიული პირობებიდან გამომდინარე ბევრი რამაა ახალი და თავისებური. ჩინეთში ეროვნული კაპიტალისტური საწარმოების სოციალისტურ საწარმოებად თანდათანობით გარდაქმნა ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალიზმის ეტაპის გავლით, მშვიდობიანი გზით. კერძო კაპიტალისტური საწარმოების სახელმწიფო კაპიტალისტურ საწარმოებად გარდაქმნის ეს ახალი მეთოდები კლასობრივი ბრძოლის პერიოდში ყველაზე ხელსაყრელია პროლეტარიატისათვის, რადგან ისინი არსებითად აადვილებენ სოციალიზმის მატერიალური ბაზის მშენებლობას. მართალი იყო ლენინი, როდესაც მიუთითებდა კომუნისტებზე ვადასვლის შესაძლებლობის შესახებ სახელმწიფო კაპიტალიზმის გზითაც, თუ სახელმწიფოში ძალაუფლება ხელთ უპყრია მუშათა კლასს. დიდი ხარკის გადახდა, ამბობდა ვ. ი. ლენინი, სახელმწიფო კაპიტალიზმისათვის არათუ არ დაველუბავს, არამედ უადრესად საიმედო გზით წაგვიყვანს სოციალიზმისაკენ.

ჩინეთში კაპიტალისტური ექსპლოატაციის ლიკვიდაციისათვის მშვიდობიანი მეთოდების გამოყენება შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ განმტკიცდა სახელმწიფო ხელისუფლება მუშათა კლასის ხელმძღვანელობით, განუხრელად ვითარდება სოციალისტური ეკონომიკა, ძლიერდება ერთიანი სახალხო-დემოკრატიული ფრონტი, რომელიც ემყარება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს ეროვნული ბურჟუაზიის მონაწილეობით.

სოციალისტური მშენებლობის საქმეში ჩინეთის დიდი გამარჯვებანი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებებია. ჩინეთის კომუნისტ-



ტური პარტია, რომელმაც ჩინელი ხალხი მიიყვანა 1949 წლის სოციალისტური გამარჯვებამდე, ყოველთვის ხელმძღვანელობს სოციალისტური მშენებლობის მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით და იყენებს საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას თავისი ქვეყნის ადგილობრივი კონკრეტული პირობების გათვალისწინებით.

ჩინეთის ხალხმა ანტიიმპერიალისტური, ანტიფეოდალური რევოლუციის ძირითადი ამოცანები გადაწყვიტა შეიარაღებული გზით. გომინდანელებისაგან თანდათანობით გაათავისუფლა ჩინეთის ტერიტორია და დაიწყო დემოკრატიული გარდაქმნები. რევოლუციის ძირითადი ძალა იყო მუშათა და გლეხთა კლასები. დიდი ხნის მერყეობის შემდეგ, როცა რევოლუციამ ფართო განვითარება პოვა, ნაციონალური ბურჟუაზია გადმოვიდა დემოკრატიული რევოლუციის მხარეზე. ამ პროცესმა ერთგვარად დააჩქარა რევოლუციის გამარჯვების საქმე. გომინდანელების განადგურების შემდეგ, 1949 წელს დღის წესრიგში დადგა პოლიტიკური ძალაუფლების საკითხი. ხალხთა ერთიანობამ შესაძლებლობა არ მისცა ბურჟუაზიას ხელში აეღო ძალაუფლება. ნაციონალური ბურჟუაზია იზოლირებულ იქნა. მუშათა კლასმა, რომელსაც მტკიცე კავშირი ჰქონდა გლეხობასთან, შემოიკრიბა ფართო დემოკრატიული ძალები და აიძულა ნაციონალური ბურჟუაზია დამორჩილებოდა. გამარჯვებას ხელი შეუწყო მუშათა კლასის ხელში ძლიერი არმიის ყოლამ და მმართველობის იმ გამოცდილებამ, რომელიც მიიღო დროთა განმავლობაში განთავისუფლებულ რაიონებში. ამავე დროს, ჩინეთის რევოლუციის გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა სოციალისტური ბანაკის მხარდაჭერამ.

ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ასაღებად იბრძოდნენ მუშათა კლასი და საშუალო ბურჟუაზია, ჩინეთში პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობისათვის ასეთ ბრძოლას ადგილი არ ჰქონია მუშათა კლასსა და ნაციონალურ ბურჟუაზიას შორის. ეს აიხსნება იმით, რომ ჩინეთის ნაციონალური ბურჟუაზია რევოლუციიდან ეკონომიურად მოგებული გამოდიოდა და, გარდა ამისა, იყო მციორერიცხოვანი, სუსტად ორგანიზებული, ხალხთა ფართო მასებისაგან იზოლირებული, არ ჰყავდა საკუთარი არმია, არ ჰქონდა მმართველობის გამოცდილება და მყარი საერთაშორისო კავშირი.

ამრიგად, ჩინეთში ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური რევოლუცია მშვიდობიანი გზით, შეიარაღებული ბრძოლის გარეშე





გადანიხარდა სოციალისტურ რევოლუციამი. 1949 წლის ბოლოსთვის პოლიტიკური ძალაუფლება დაიპყრო მუშათა კლასმა, ყარდა ხალხის დიქტატურა, მუშათა კლასის დიქტატურა, რომლის სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს სახალხო რესპუბლიკა.

განმტკიცდა რა სახალხო დემოკრატიული წყობილება, 3 წლის შემდეგ, 1953 წელს ჩინეთი გადადის სოციალისტური ეკონომიკის გეგმა-ზომიერ გარდაქმნაზე.

ცნობილია, რომ ჩინეთის მუშათა კლასი სოციალიზმის მშენებლობის გზაზე იყენებს ბურჟუაზიას, რომელსაც, როგორც კლასს, აქვს პოლიტიკური უფლება, ჰყავს თავისი პოლიტიკური პარტიები და მონაწილეობს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში. ჩინეთის მუშათა კლასი ერთდროულად ატარებს ბურჟუაზიასთან კავშირისა და ბრძოლის პოლიტიკას. ამ ბრძოლაში ძირითადი მეთოდია დარწმუნება და აღზრდა. დარწმუნების, აღზრდის მეთოდებით, აღნიშნავს მათ ძე-დუნი, არათუ შეიძლება ერთბაშოვნული საკუთრება შეიცვალოს სოციალისტური, კოლექტიური საკუთრებით, არამედ აგრეთვე შეიძლება კაპიტალისტური საკუთრება შეიცვალოს სოციალისტურ საკუთრებით.

ჩინეთის სახალხო მთავრობა, რომელშიც მონაწილეობენ მუშათა კლასის გარშემო დარაზმული გლეხობა, ქალაქის წვრილი ბურჟუაზია და ინტელიგენცია, სოციალიზმის მშენებლობის პროცესში თანდათანობით ანეიტრალებს ბურჟუაზიის მოქმედებას, ზღუდავს მის გავლენის სფეროებს.

კლასობრივი წინააღმდეგობა მუშათა კლასსა და ბურჟუაზიას შორის თავისებურია. იგი მიმართულია იქითკენ, რომ კერძო მრეწველობა და ვაჭრობა გარდაიქმნას სოციალისტური ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად და საბოლოო ანგარიშით უზრუნველყოს თვით ბურჟუაზიის გარდაქმნა და მისი მთლიანად გადმოყვანა მშრომელი ხალხის რიგებში.

ჩინეთში ბურჟუაზიამ შექმნილი პირობების გამო აღიარა მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა და თანდათანობით დათანხმდა სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებაზე. ჩინელმა კაპიტალისტებმა, როგორც ფიგურალურად გამოთქვამენ, ამჯობინეს გაჰყოლოდნენ სოციალიზმისაკენ მიმავალ მატარებელს, ვიდრე აღმოჩენილიყვნენ ამ მატარებლის ბორბლებს ქვეშ.

როდესაც ბურჟუაზიაზე ვლაპარაკობთ, იგულისხმება ნაციონალური, პატრიოტული ბურჟუაზია და არა რეაქციულ-კომპრო-

დორული ბურჟუაზია, რომელიც განადგურებულ და გაძევებულ იქნა ჩინეთიდან.

ჩინეთში თითოეული კაპიტალისტი, რომელსაც პირად საკუთრებაში გააჩნია საწარმოო საშუალებანი, არსებული პირობების გამო ამჯობინებს, რომ თავისი საწარმო გააერთიანოს სახელმწიფო კერძო წარმოებაში. კერძო მფლობელის თხოვნის, განცხადების შემდეგ, სპეციალური კომიტეტები აფასებენ ამ საწარმოს. შემდეგ კი ზოგს უკეთდება რეკონსტრუქცია, ზოგი ფართოვდება, ზოგს კი ხურავენ. ჩინეთში ნედლეული მთლიანად სახელმწიფოსა და კოოპერირებული გლეხების ხელში იმყოფება. კერძო მესაკუთრეებიდან შესყიდვა კი თანდათანობით ძნელდება. ამიტომ კერძო მწარმოებლებს და ვაჭრებს ესპობათ ბაზა შემდგომი განვითარებისათვის. მათთვის უფრო ხელსაყრელი ხდება, რომ სახელმწიფომ მოამარაგოს წარმოება ნედლეულით და საჭირო ენერჯით, ე. ი. წავიდეს დათმობაზე, — გადასცეს მის მფლობელობაში არსებული საწარმოო საშუალებანი სახელმწიფო-კერძო წარმოებას. იმის გამო, რომ კაპიტალისტებს გააჩნიათ საჭირო ცოდნა და გამოცდილება, სახელმწიფო მათ ნიშნავს წარმოების დირექტორებად, მათ მოადგილეებად, საამქროს უფროსებად და სხვ., მაგრამ არა თავიანთ ყოფილ საწარმოებში. ისინი ამისათვის იღებენ ჩვეულებრივ ხელფასს და 6 პროცენტამდე შემოსავალს თავისი კაპიტალიდან. გარდა ამისა, შექმნილია სპეციალური ფონდები იმ კერძო მესაკუთრეთა დასახმარებლად, რომლებიც ვერ მუშაობენ ავადმყოფობის ან სხვა მიზეზების გამო. როგორც აღინიშნა, ყველა ეს ღონისძიება ხორციელდება დარწმუნების, აღზრდის მეთოდით. მაგრამ თუ ვინმეზე არ იმოქმედებს დარწმუნება, დაარღვევს რევოლუციურ კანონიერებას, დაიწყებს საბოტაჟს, შეეცდება წინააღმდეგობა გაუწიოს სახალხო ხელისუფლებას, მის მიმართ გამოყენებული იქნება იძულებითი ღონისძიებანი.

კაპიტალისტური ეკონომიკის სოციალისტურად გარდაქმნა ჩინეთში ხორციელდება სახელმწიფო კაპიტალიზმით, რომელსაც აქვს რამდენიმე ფორმა: უმდაბლესი, როდესაც სახელმწიფო საწარმოები ხელმეკრულებით ყიდულობენ პროდუქციას კაპიტალისტური საწარმოებისაგან, კერძო მესაკუთრეებისაგან; საშუალო, როცა სახალხო საწარმოს მიერ მიწოდებულ ნედლეულს ამუშავებენ კერძო მესაკუთრეები; უმაღლესი ფორმა — საწარმოების შერეული სახელმწიფო-კერძო მფლობელობა. ამჟამად ჩინეთში სახელმწიფო კაპიტალიზმის ძირითად ფორმად გადაიქცა უმაღლესი ფორმა.

მრეწველობის დარგების ასეთმა გაერთიანებებმა კიდევ უფრო



გაზარდა და მომგებიანი გახადა წარმოება. ამრიგად, ჩინეთის მანქანების მწარმოებელი ქარხნების და დადასტურდა მარქსიზმ-ლენინიზმის ცნობილი დებულებების შესახებ, რომ მუშათა კლასისათვის ზოგჯერ ხელსაყრელია ფაბრიკები და ქარხნები გამოისყიდოს კაპიტალისტებისაგან¹.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური გარდაქმნები უკვე დაგვირგვინდა გადამწყვეტი გამარჯვებებით როგორც მრეწველობასა და შინამრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობასა და ვაჭრობაში. ჩინეთში სოციალისტური ეკონომიკა გახდა ეკონომიკის ერთადერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმა.

დაახასიათა რა სოფლის მეურნეობაში, შინამრეწველობაში, კაპიტალისტურ მრეწველობასა და ვაჭრობაში მიღწეული სოციალისტური გარდაქმნები, ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობისადმი სანგარიშო მოხსენებაში ლიუ შაოციმ აღნიშნა, რომ ეს მეტად რთული და ძნელი ამოცანა ამჟამად ძირითადად შესრულებულია და ჩინეთში სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის ბრძოლის საკითხი — „ვინ ვის?“ — უკვე გადაჭრილია.

კაპიტალისტური საწარმოების შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოებად გარდაქმნის შემდეგ ჩინეთის წინაშე დადგა ამოცანა, რომ წარმოებისადმი მუშათა კონტროლიდან გადავიდეს წარმოების უშუალო მართვაზე სახელმწიფოს მხრივ. საწარმოთა მართვის განხორციელებისას სახელმწიფო ეყრდნობა მუშებისა და მოსამსახურეების ფართო მასებს. კერძო მფლობელები კაპიტალისტურ საწარმოებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ გარდაქმნამდე სარგებლობდნენ საწარმოს ქონების საკუთრების უფლებით. საწარმოს გარდაქმნის შემდეგ, იმის გამო, რომ ქონების საკუთრების უფლება ჯერ კიდევ სრულად არ არის გაუქმებული, კაპიტალისტები გარკვეული პერიოდის განმავლობაში კვლავაც აიღებენ განსაზღვრულ პროცენტს, მხოლოდ აღარ ექნებათ მუშაკთა ადგილგადასაცვლების, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის უფლება. ამ საქმიანობას განხორციელებს სახელმწიფო დარგობრივი კომპანია. თანამდებობრივი უფლებები, რომლებიც კაპიტალის წარმომადგენლებს აქვთ შერეულ სახელმწიფო-კერძო საწარმოებში, თავისი შინაარსით ისეთი აღარ არის, როგორიც საწარმოთა გარდაქმნამდე იყო. ეს არის ჩვეულებრივი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სამმართველოს მუშაკების თანამდებობრივი უფლებები, რომლებსაც მათ სახელ-

¹ იხ. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 419. 1952 (რეს. გამოც.); ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 426.

მწიფო აძლევს. ეს არის არა კაპიტალისტთა უფლებები, არამედ სახელმწიფო საწარმოთა მოსამსახურეების თანამდებობრივი უფლებები.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ შესანიშნავ გამარჯვებებს მიაღწია აგრეთვე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში. კოლექტიურ შრომაზე გლახთა მასების გადასვლის პროგრამაში, რომელიც ჩინეთის კომუნისტებმა შეიმუშავეს, შემოქმედებითად გამოყენებულია სოფლის მეურნეობის კოოპერირების საბჭოთა ქვეყნის გამოცდილება ჩინური სოფლის ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით. ჩინელ გლეხთა უდიდესი მასა ახლა შრომობს სხვადასხვა ტიპის კოოპერაციულ მეურნეობებში და აშენებს ახალ ცხოვრებას. ჩინეთის ყველა გლეხური კომლის 92% — 110 მილიონი კომლი 120 მილიონიდან — უკვე დაადგა კოოპერირების გზას¹. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის გადაყვანა სოციალისმის გზაზე ხორციელდება მთელი რიგი შუალედი საფეხურების მეშვეობით.

ჩინეთში მიმდინარეობს სოფლის დიადი გარდაქმნები კოოპერირების გზით. ასეთი გარდაქმნის პირველ ფორმას წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის ბრიგადები, რომლებიც წარმოიშვნენ აგრარული რეფორმების გატარების დღიდან. იმის გამო, რომ შესაძლებლობა მისცემოდათ გლეხებს დაემუშავენინათ მათზე გაპიროვნებული მიწა, ერთმანეთს ეხმარებოდნენ სხვადასხვა საშუალებით და უნაზღაურებდნენ იმის მიხედვით, თუ რა დახმარება გაუწიეს. მეორე ფორმაა — ნახევრად სოციალისტური ტიპის კოოპერაციული მეურნეობა, სადაც გლეხები აერთიანებენ მიწის ნაკვეთებს, რომელთაც ამუშავენ ერთად და მიღებული მოსავლის ნახევარს ინაწილებენ გაწეული შრომის მიხედვით, ხოლო ნახევარს კი ამ კოოპერატივში შეტანილ საკუთრებაზე. მესამე ფორმაა სოციალისტური ტიპის კოოპერაციული მეურნეობა. ეს მეურნეობა ისეთივეა, როგორც ჩვენთან სასოფლო-სამეურნეო არტელი, სადაც შემოსავალი ნაწილდება მხოლოდ შრომადღეზე. ამჟამად სოფლის მეურნეობაში გაბატონებული ადგილი უკავია სოციალისტური ტიპის კოოპერაციულ მეურნეობას.

სოფლად, ისე როგორც ქალაქად, სოციალისტური გარდაქმნები მიმდინარეობს კლასობრივი ბრძოლის ვითარებაში. როგორც 1955 წლის ზაფხულში სოფლის მეურნეობის საკითხებზე მოწვეულ პარტიულ თათბირზე აღინიშნა, ჩინეთის სოფელში არიან კულაკები და ყოფილი მემამულეები, რომლებიც ხელს უშლიან კოოპე-

¹ „პრადა“, 1 ოქტომბერი, 1956.



ჩივიების საქმეს. თავიანთი დამოკიდებულებით ესენი იყოფიან სამი ჯგუფად: ლოიალური, ნეიტრალური და მტრულად განწყობილი ლაქები და მემამულეები. პირველი ჯგუფის კულაკებსა და მემამულეებს იღებენ კოოპერირებულ მეურნეობაში, მხოლოდ არ უშვებენ რაიმე ხელმძღვანელ პოსტზე; ნეიტრალეები მიიღებიან კანდიდატებად გამოსაცდელი ვადით, მხოლოდ მესამე — მტრულად განწყობილ ელემენტებს არ იღებენ. მათ უპირველეს ყოვლისა უნდა დაამტკიცონ თავიანთი ლოიალობა სახალხო მთავრობისა და კოოპერაციული მეურნეობის მიმართ. ყველა კულაკსა და მემამულეს უფლება ეძლევა დაამუშაოს თავისი მეურნეობა მხოლოდ საკუთარი შრომით. მთავრობა მათ წინააღმდეგ არ იღებს არავითარ რებრესიულ ღონისძიებებს. მაგრამ თუ ვინმე გამოვა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი მკაცრად ისჯება.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ქმედით ღონისძიებებს ატარებს, რათა მძიმე მრეწველობის უპირატესი განვითარების საფუძველზე განავითაროს სოფლის მეურნეობა, პირველ რიგში გაადიდოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება და გლეხთა შემოსავალი. მოსავლიანობის გადიდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი მეთოდია ჩინეთში.

გლეხობა ჩინეთში მოსახლეობის 5/6-ზე მეტს შეადგენს. სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ახორციელებდა რა აგრარულ გარდაქმნებს, ჩინეთის კომუნისტური პარტია სათავეში უდგას სოფლის მეურნეობაში ურთიერთდახმარებისა და კოოპერირებისათვის მოძრაობას და დიდ შედეგებსაც აღწევს ამ დარგში.

პოლიტიკას, რომელსაც ატარებენ ჩინელი კომუნისტები გლეხების მიმართ, იყენებენ შინამრეწველების, წვრილი ვაჭრებისა და მეწვრილმანეთა, აგრეთვე სხვა, ერთპიროვნულ მშრომელთა მიმართ, რომელნიც გაერთიანდნენ სხვადასხვა ფორმის კოოპერაციულ ორგანიზაციებში.

კომუნისტური პარტიის მიერ ბრძნული ნაციონალური პოლიტიკის გატარების საფუძველზე კიდევ უფრო დაირაზმა ჩინეთის ყველა ეროვნება, ყველა დემოკრატიული პარტია, ყველა პატრიოტი. ყოველივე ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. პარტიისა და ყველა ეროვნების წინაშე დასახული ამოცანები ეროვნული საკითხის დარგში შემდეგია: განამტკიცონ სამშობლოს ერთიანობა, განამტკიცონ ძმური მეგობრობა, ურთიერთდახმარება და თანამშრომლობა ყველა ხალხს შორის, განავითარონ ეროვნულ უმცირესობათა აქტივობა სამშობლოს მშენებლობაში, დაეხმარონ ყველა

ეროვნულ უმცირესობას, რომ გადავიდნენ სოციალიზმში, გადავიდნენ
ციონ ჩინეთი მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამოცანაა კიდევ უფრო განამ-
ტკიცოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და ამის საფუძ-
ველზე მოახდინოს ექსპლოატაციის სისტემის საბოლოო ლიკვიდა-
ცია, ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის რაც შეიძლება მალე განხორ-
ციელება, სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქცია, რა-
თა ჩინეთს ექნეს მძლავრი თანამედროვე მრეწველობა, თანამედრო-
ვე სოფლის მეურნეობა, თანამედროვე ტრანსპორტი და კომუნიკა-
ციები და თანამედროვე თავდაცვა. პარტიის მთელი მუშაობის ძი-
რითადი მიზანია ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვ-
ნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

ხალხის დემოკრატიული ღიქტატურის წყობილების შექმნამ და
განმტკიცებამ, ღიქტატურისა, რომელსაც მუშათა კლასი ხელმძღვა-
ნელობს, ეკონომიკის საარსებო მნიშვნელობის დარგების ნაციონა-
ლიზაციამ, დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელების ამო-
ცანათა წარმატებით გადაჭრამ, სახალხო მეურნეობის სწრაფმა აღ-
დგენამ და განვითარებამ, სადაც ხელმძღვანელი მდგომარეობა ეკო-
ნომიკის სოციალისტურ სექტორს უკავია, და ჩინეთის ეკონომიური
მშენებლობისადმი საბჭოთა კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების
უდიდესმა დახმარებამ ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შესაძლებ-
ლობა მისცა თავის VIII ისტორიულ ყრილობაზე დაესახა სოცია-
ლიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

განაზოგადა რა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში შეძენილი
გამოცდილება, ყრილობამ თავის რეზოლუციაში ჩინეთის კომპარ-
ტიას მისცა გაშლილი პროგრამა მოქმედებისათვის.

ხელმძღვანელობდა რა ჩინელ ხალხს, კომუნისტურმა პარ-
ტიამ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ბურჟუაზიულ-დემოკრატიუ-
ლი რევოლუცია მოახდინა და ძირითადად გამარჯვება მოიპოვა სო-
ციალისტურ რევოლუციაში. შეიცვალა ჩინეთის საზოგადოების სა-
ხე. ძველი ჩინეთის საზოგადოებაში მთავარი წინააღმდეგობა იყო
წინააღმდეგობა ჩინელ ხალხსა და იმპერიალიზმის, ფეოდალიზმისა
და ბიუროკრატიული კაპიტალის ბატონობას შორის. ეს წინააღმდე-
გობა მოსპო ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარ-
ჯვებამ. თუ მხედველობაში არ იქნება მიღებული ჯერ კიდევ არსე-
ბული საგარეო წინააღმდეგობა იმპერიალიზმთან, მთავარ წინააღ-
მდეგობად ჩინეთში დარჩა წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და
ბურჟუაზიას შორის. ეს წინააღმდეგობა უნდა მოსპოს სოციალის-
ტურმა რევოლუციამ. სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის, კა-



პიტაღორას მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური რეფორმების მიზანი სწორედ ის არის, რომ შეცვალოს კაპიტალისტური საკუთრება და წვრილი კერძო საკუთრება, რომელიც კაპიტალიზმს წარმოშობს.

სოციალისტური გარდაქმნების გადამწყვეტი გამარჯვება ნიშნავს, რომ ჩინეთში მოსპობილია წინააღმდეგობა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის, ბოლო მოეღო კლასობრივი ექსპლოატაციის სისტემას, რომელიც რამდენიმე ათასი წლის განმავლობაში არსებობდა, შეიქმნა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება.

რეზოლუციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა სერიოზული ღონისძიებები, რათა ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყანა გადავაქციოთ მოწინავე, სოციალისტურ ქვეყნად. იქვე დახასიათებულია ის ამოცანები, რომლებიც უნდა განხორციელოს ჩინელმა ხალხმა ახლო მომავალში. მითითებულია, რომ ამ ამოცანების განუხრელად შესრულებისათვის საჭიროა კიდევ უფრო განვამტკიცოთ ხალხის დემოკრატიული დიქტატურა, რომელიც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ არსებითად პროლეტარიატის დიქტატურას წარმოადგენს.

მიიღო რა მხედველობაში, რომ პირველი ხუთწლიანი გეგმა მალე წარმატებით შესრულდება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის VIII ყრილობამ შეიტანა წინადადებები სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლიანი (1958 — 1962 წლების) გეგმის შესახებ და გადასცა განსახილველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, რომელიც განიხილავს და დასამტკიცებლად წარუდგენს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას.

მეორე ხუთწლიანი გეგმა, მითითებულია წინადადებებში, ჩინეთის გარდამავალი პერიოდის ძირითადი ამოცანების განხორციელების უმნიშვნელოვანესი წყაროა. მეორე ხუთწლედში უნდა დამთავრდეს სოციალისტური გარდაქმნები და უნდა მიღწეულ იქნეს ის შესაძლებლობა, რომ დაახლოებით სამ ხუთწლედში ძირითადად აშენდეს მრეწველობის მთლიანი სისტემა, რომ ჩინეთი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გახდეს მოწინავე, სოციალისტური, ინდუსტრიული სახელმწიფო.

ამასთან დაკავშირებით მოცემულია მეორე ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები, სადაც ნათქვამია: 1. განვავრდოთ სამრეწველო მშენებლობა, ამასთან მთავარი ყურადღება მივაქციოთ მძიმე მრეწველობას, წინ წავწიოთ სახალხო მეურნეო-



ბის ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმე, შეგუქმნათ მტკიცეა ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციას; 2. თანმიმდევრულად დაგამთავროთ სოციალისტური გარდაქმნები, განვამტკიცოთ და გავაფართოოთ კოლექტიური და საერთო-სახალხო საკუთრება; 3. კაპიტალური მშენებლობის განვითარებისა და სოციალისტურ გარდაქმნათა შემდგომი განხორციელებისა და დამთავრების ბაზაზე ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოება და შინამრეწველობა, შესაბამისად განვაფართოოთ ტრანსპორტი და ვაჭრობა; 4. სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმიროებათა უზრუნველსაყოფად ყოველი ღონისძიებით მოვაშაბდოთ კადრები მშენებლობისათვის, გაავუმჯობესოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა; 5. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების ბაზაზე განვამტკიცოთ სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერება, უზრუნველვეყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული ღონის შემდგომი აღმავლობა.

წინადადებებში აღნიშნულია, რომ მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდდება დაახლოებით ერთიორად, ხოლო სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია — 35 პროცენტით. მარტო მარცვლეულის მოსავალი ხუთ წელიწადში უნდა გაიზარდოს 363,18 მილიარდი ძინიდან (ერთი ძინი უდრის ნახევარ კილოგრამს) დაახლოებით 500 მილიარდ ძინამდე. ეროვნული შემოსავალი 1962 წელს გადიდდება დაახლოებით 50 პროცენტით. წინადადებებში დაკონკრეტებულია ამოცანები სახალხო მეურნეობის, კულტურისა და განათლების ყველა დარგში, დასაბუთებულია მათი გადაწყვეტის გზები.

მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულება შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩინეთის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, ამაღლდეს მეცნიერებისა და ტექნიკის დონე, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე, აგრეთვე ძირითადად ლიკვიდირებულ იქნას საკუთრების კაპიტალისტური სისტემა.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ თავის VIII სრულიად ჩინეთის ყრილობაზე დაადასტურა, თუ რა ბრძნულად ატარებს იგი სოციალიზმში გადასვლის სხვადასხვა ღონისძიებებს, რა ოსტატურად იყენებს თავისი ქვეყნის ისტორიულ თავისებურებებსა და ტრადიციებს და ყოველი ღონისძიებით როგორ განამტკიცებს მჭიდრო კავშირს ხალხთა მასებთან.

მუშაობს რა რთულ ისტორიულ პირობებში, ჩინეთის კომპარტიას უდიდესი წვლილი შეაქვს სოციალისტური საზოგადოების აშენების თეორიასა და პრაქტიკაში. „მსოფლიო კომუნისტურ მოძ-



რაობას, — აღნიშნავდა 1956 წლის 23/X-ის „პრავდის“ საარქივო ციო სტატია, — შეუძლია სამართლიანად იამაყოს ჩინელი ამხანაგების უნარით აღმოაჩინონ და წარმატებით განახორციელონ ასეულ მილიონობით ადამიანთა ცხოვრების ურთულესი პრობლემების გადაჭრის ახალი მეთოდები... ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის სიბრძნე თავს იჩენს იმითაც, რომ იგი თავის ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილებას არ უპირისპირებს სხვა ქვეყნების გამოცდილებას, უნარიანად იყენებს ყველა სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებას ჩინეთში ახალი საზოგადოების მშენებლობის ამოცანათა წარმატებით გადაჭრისათვის“.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მოძმე, თანამოაზრე ქვეყნები არიან. ისე როგორც ყველა სოციალისტური ქვეყნის ხალხებს შორის, საბჭოთა ხალხსა და ჩინელ ხალხს შორის მეგობრობა ემყარება სრულ თანასწორუფლებიანობას, ეროვნული ინტერესების ურთიერთბატივისცემას და ძმურ დაინტერესებას იმით, რომ აყვავდეს თითოეული სოციალისტური ქვეყანა და განმტკიცდეს მთელი სოციალისტური ბანაკი. ასეთი ურთიერთობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ცოცხალი განსახიერებაა.

სახალხო ჩინეთის თვალსაჩინო მიღწევები, რომლებიც მოწმობენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკური ხაზის სისწორესა და გამარჯვებული მუშათა კლასის, გლეხობის, მთელი ჩინელი ხალხის შრომითი ერთუზიანობის მძლავრ აღმავლობას, ამასთან ერთად მკაფიოდ ადასტურებენ დიდი ლენინის გენიალურ განჭკვრეტას, ლენინისა, რომელსაც უსიტყვოდ სწამდა ჩინეთისა და მთელი აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უდიდესის დაუშრეტელი ძალები და ხალხების დიდი შემოქმედებითი უნარი. ვ. ი. ლენინი 1923 წელს თავის ცნობილ სტატიაში — „უმჯობესია ცოტა და კარგი“ — წერდა: „ბრძოლის შედეგი, საბოლოო ანგარიშით, დამოკიდებულია იმაზე, რომ რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ. შეადგენენ მოსახლეობის გიგანტურ უმრავლესობას. და სწორედ მოსახლეობის ეს უმრავლესობა უკანასკნელ წლებში არაჩვეულებრივი სისწრაფით ებმება ბრძოლაში თავისი განთავისუფლებისათვის, ასე რომ ამ მხრივ არავითარ ექვს არ იწვევს ის გარემოება, თუ როგორ გადაწყდება საბოლოოდ მსოფლიო ბრძოლა. ამ აზრით სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება სავსებით და უცილობლად უზრუნველყოფილია“¹.

სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ ჩინეთში უდიდესი გავ-

ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 592.



ლენა მოახდინა განმათავისუფლებელი ბრძოლის განვითარებაზე მთელ მსოფლიოში. ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება გარდატეხის მომენტი იყო აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნის ცხოვრებაში, იგი დასაწყისი იყო იმ მძლავრი პროცესისა, რომელიც მიმდინარეობს ადამიანის განთავისუფლებისათვის კოლონიალიზმის სამარცხვინო უღლისაგან.

ინდოეთი, რომელიც განთავისუფლდა კოლონიალური პოლიტიკისაგან და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვა, მოსახლეობის რიცხვის მიხედვით მეორე ქვეყანაა მსოფლიოში. იგი დიდ როლს ასრულებს საერთაშორისო არენაზე. ინდოეთის რესპუბლიკა გამოდის როგორც უდიდესი მშვიდობისმოყვარე ქვეყანა. ამჟამად ინდოეთის ხალხის წინაშე დგას რთული ამოცანები კოლონიალიზმის ლიკვიდაციისა და ხალხთა მასებებისათვის ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად. ინდოეთის კომპარტია შეუპოვრად იბრძვის ამ ამოცანების შესასრულებლად. ბრძოლაში იგი ეყრდნობა ხალხთა ფართო მასების ერთიანობას, რომელიც მოიცავს მოსახლეობის დემოკრატიულ და პატრიოტულ ძალებს.

კოლონიალური უღლისაგან განთავისუფლდნენ და ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს ჩრდილოეთ კორეამ, ინდონეზიამ, ბირმამ, ეგვიპტემ და სხვა ქვეყნებმა. მიუხედავად საზღვარგარეთის იმპერიალისტების ჩარევისა და ქვეყნის შიგნით არსებული რეაქციული ძალების წინააღმდეგობისა, ამ ქვეყნების მუშათა კლასი, თავისი ავანგარდის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აშენებს ახალ, მშრომელი ხალხისათვის თავისუფალსა და დემოკრატიულ ცხოვრებას.

თავისებური ფორმით აშენებს სოციალიზმს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, სადაც შექმნილია არა მარტო მოწინავე პოლიტიკური წყობილება, არამედ მოწინავე კულტურაც. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიული განვითარების გამოცდილება წარმოადგენს იმის ნათელ დადასტურებას, რომ ჩამორჩენილ ქვეყნებს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის პროლეტარიატის დახმარებით შეუძლიათ კაპიტალისტური საფეხურის გავლის გარეშე განვითარდნენ სოციალიზმის გზით (იხ. „მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორია“, გვ. 381—384, რუსული გამოცემა)¹.

ამჟამად, როცა სოციალიზმმა გაიმარჯვა მსოფლიოს უდიდეს

¹ უფრო დამტკიცებით იხ. დ. თუ მუ რო ჩი რის სტატია — „ჩამორჩენილი ქვეყნების სოციალიზმისაკენ განვითარების არაკაპიტალისტური გზის შესახებ“, ეურნ. „Вопросы философии“, № 1, 1956.



ქვეყნებში — სსრ კავშირსა და ჩინეთში, როცა არსებობს სოციალისტური წესრიგის სისტემა 900-მილიონიანი მოქალაქით, როცა დიდი ინდუსტრიის, ინდონეზიის და აღმოსავლეთის ბევრი სხვა ქვეყნის ხალხებმა მოიპოვეს დამოუკიდებლობა, ყველასათვის ნათელი ხდება, თუ როგორი იქნება მსოფლიო რევოლუციის საბოლოო შედეგი.

4. ზოგიერთი ქვეყნის სოციალიზმზე გადასვლის სხვადასხვა ფორმების შესაძლებლობის შესახებ

ისტორიულმა გამოცდილებამ სსრ კავშირში, ჩინეთში, ეგვიპტის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში და სხვ. დაადასტურა, რომ იცვლება კონკრეტული პირობები, რომლებშიც ხორციელდება სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლა სხვადასხვა ქვეყანაში. აქედან გამომდინარე აუცილებელი ხდება მისი განზოგადება ახალ გარემოებათა გათვალისწინებით და, მაშასადამე, საჭირო ხდება ისიც, რომ შემდგომ გზავითარდეს სოციალისტური რევოლუციის თეორია.

ვ. ი. ლენინი ბოლშევიკებს ასწავლიდა: შეგვეძლოს კომუნისტების საერთო და ძირითადი პრინციპები შევუფარდოთ კლასთა და პარტიათა ურთიერთობის იმ თავისებურებებს, კომუნისტებისათვის თანამედროვე განვითარების იმ თავისებურებებს, რომლებიც ყოველ ცალკეულ ქვეყანას ახასიათებს და რომლებიც უნდა შეგვეძლოს შევისწავლოთ, მოვინახოთ, გამოვიცნოთ, რათა ამ განვითარებას შეეძლოს ყველა და ყოველგვარი ახალი და ძველი ფორმები გახადოს კომუნისტების სრული და საბოლოო, გადამწყვეტი და სამუდამო გამარჯვების იარაღად¹.

ლენინის ბრძნული მითითებების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ღრმა ანალიზი გაუკეთა იმ ცვლილებებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს საერთაშორისო ვითარებაში მოხდა, და აღნიშნა, რომ სოციალიზმზე ქვეყნების შემდგომში გადასვლა მოგვეცემს კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას და აუცილებელი არ არის ყველა პირობებში, სოციალისტური გარდაქმნა დაკავშირებულ იქნეს სამოქალაქო ომთან. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ბევრი რამ დამოკიდებული იქნება ძალთა თანაფარდობაზე როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე, დამოკიდებული იქნება რევოლუციური კლასების ორგანიზებულობისა და შეგნების დონეზე, რეაქციული კლასების წინააღმდეგობის ძალაზე.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 94—95, 113.



როგორც ცნობილია, ლენინი და ბოლშევიკები პირველ იმპერიალისტურ ომამდე რევოლუციის გამარჯვების გზას ხედავდნენ მხოლოდ შეიარაღებულ აჯანყებაში. მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც რუსეთის მშრომელებმა დემოკრატიული თავისუფლება მოიპოვეს, პარტია არ მოუწოდებდა მუშათა კლასს ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ. ვ. ი. ლენინმა აპრილის თეზისებში დაუშვა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობა; იგი მოითხოვდა ახსნაგანმარტებითი მუშაობის ჩატარებას ხალხის ფართო მასებში, რათა პარტიას თავის მხარეზე გადმოეყვანა მასების დიდი ნაწილი და ამით საბჭოებში მოეპოვებინა უმრავლესობა. მიადწევდა რა ამას, პარტია შეცვლიდა საბჭოების პოლიტიკასაც და მთავრობის შემადგენლობასაც. მაგრამ 1917 წლის 4 ივლისის ამბების შემდეგ, როდესაც ხელისუფლება მთლიანად ბურჟუაზიის ხელში გადავიდა, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგი დღის წესრიგიდან მოიხსნა. ბურჟუაზიის მიმართ, რომელიც შეთქმულებას ამზადებდა, საჭირო შეიქმნა პასუხის გაცემა შეიარაღებული აჯანყებით. ეს აჯანყება გამარჯვებით დაგვირგვინდა 1917 წლის ოქტომბერში.

ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 1918 წლის გაზაფხულზე ჩვენმა პარტიამ ლენინის ხელმძღვანელობით შეიმუშავა სოციალისტური მშენებლობის მშვიდობიანი გეგმა, მაგრამ რუსეთისა და კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიამ მოაწყობა კონტრრევოლუცია ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. დაიწყო ინტერვენცია — ომი. ასეთ პირობებში საჭირო გახდა იარაღის ხელში აღება.

ამრიგად, რუსეთის კომუნისტური პარტია ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით პირველ მსოფლიო ომამდე და ომის პერიოდში მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყებისაკენ, ხოლო თებერვლის რევოლუციის პირველ თვეებში აყენებდა რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების ლოზუნგს. ივლისის ამბების შემდეგ კი კვლავ წამოაყენა შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი. ყველა ამ შემთხვევაში ბოლშევიკები მოქმედებდნენ კლასობრივი ძალების რეალური თანაფარდობის ზუსტად გათვალისწინებით, ამ თანაფარდობათა შემდგომი განვითარების ღრმა გაგებით.

ასეთივე მიდგომა ჰქონდათ მარქსსა და ენგელსს ამ საკითხისადმი სხვა ქვეყნების მიმართ. ისინი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში თვლიდნენ, რომ ევროპის კონტინენტზე ნამდვილად ყოველგვარი სახალხო რევოლუციის წინასწარი პირობაა დამხობილ



იქნეს სამხედრო ბიუროკრატიული მანქანა და მის ნაცვლად მას კომუნისმის მშენებელი პროლეტარიატის ძალაუფლება.

მარქსი და ენგელსი გამონაკლისს უშვებდნენ ინგლისისა და ოკეანის გადაღმა ქვეყნებისათვის, სადაც მუშათა კლასს შეეძლო მთავრობაში მისვლა მშვიდობიანი გზით, პარლამენტში უმეტესობის მოპოვებით. მარქსი 1872 წელს ამსტერდამში გამოსულ მიტინგზე ამბობდა: ძალაუფლების მოპოვებისათვის ჩვენ არასოდეს ვამტყიცებდით, რომ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებლად ერთნაირი საშუალებები არსებობს.

„ჩვენ ვიცით, რომ ანგარიში უნდა გაეწიოს ცალკეული ქვეყნების დაწესებულებებს, ზნე-ჩვეულებებსა და ტრადიციებს; და ჩვენ არ უარვყობთ, რომ არიან ქვეყნები, როგორც ამერიკა, ინგლისი, და მე უკეთ რომ ვიცნობდე თქვენს დაწესებულებებს, შესაძლებელია მათ მივუმატებდი პოლანდიასაც, სადაც მუშებს შეუძლიათ თავიანთ მიზანს მიაღწიონ მშვიდობიანი საშუალებებით. მაგრამ თუ ეს ასეა, ჩვენ აგრეთვე უნდა ვადიაროთ, რომ კონტინენტის მეტწილ ქვეყნებში ჩვენი რევოლუციის ბერკეტი უნდა გახდეს ძალა; სწორედ ძალაა ის, რასაც გარკვეულ მომენტში უნდა მივმართოთ, რათა საბოლოოდ დავამყაროთ შრომის ბატონობა“¹.

მონოპოლისტური კაპიტალიზმის ახალ პირბებში, 1917 წელს, ლენინი მიუთითებდა, რომ მარქსის ეს გამოთქმა მოხსნილია დღეისათვის ინგლისსა და აშშ-ში პოლიტიკურ-ბიუროკრატიული აპარატის ზრდის გამო. ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა კაუცკის და სხვა რენეგატებს, რომლებიც ცდილობდნენ გამოეყენებინათ მარქსის ეს გამოთქმა ყველა ქვეყნის მიმართ, ვითარების ყველა პერიოდში და ამით ჩამოეშორებინათ პროლეტარიატი რევოლუციის გზიდან. ამასთან დაკავშირებით ლენინი მიუთითებდა, რომ „მარქსი არც თვითონ იბორკავდა — და არც სოციალისტური რევოლუციის მომავალ მოღვაწეებს უბორკავდა — ხელებს გადატრიალების ფორმების, საშუალებების, ხერხების საქმეში, რადგანაც მშვენივრად ესმოდა, თუ რა აუარებელი ახალი პრობლემა წამოიჭრება მაშინ, თუ როგორ შეიცვლება მთელი ვითარება გადატრიალების მსვლელობაში, რა ხშირად, რა ძლიერად შეიცვლება იგი გადატრიალების მსვლელობაში“².

ამრიგად, მარქსიზმის კლასიკოსები ქვეყნების უმრავლესობისათვის პროლეტარიატის დიქტატურის დასამყარებლად მთავარ და

¹ კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზ. 1-ლი, გამოც., ტ. 13, ნაწილი II, გვ. 669.
² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 424.



ძირითად გზად მიიჩნევდნენ შეიარაღებული აჯანყების გზას, ხელმძღვანელი მშვიდობიანი გზა მათ მიაჩნდათ მშრომელებისადმი ხელსაყრელ გამოწვევად.

ამჟამად მსოფლიოში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. მსოფლიო ორადაა გაყოფილი. არსებობს სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, რომელიც იზრდება და მტკიცდება. არსებობს კაპიტალისტური ბანაკიც, რომელიც თანდათანობით სუსტდება, ზედიზედ კარგავს პოზიციებს. ახალი ვითარება ახლებურად აყენებს სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნის გადასვლას ფორმების საკითხს. თანამედროვე პირობებში ზოგიერთ ქვეყნისათვის ისახება რეალური შესაძლებლობა მშვიდობიანი მეთოდებით ბრძოლისა სოციალიზმში გადასასვლელად. ამ შემთხვევაში პირველხარისხოვანი, თუ შეიძლება ითქვას, ზოგჯერ განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტური ბანაკის სიძლიერეს, მის ეკონომიურ და პოლიტიკურ მიღწევებს.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1899 წელს მიუთითებდა, რომ მუშათა კლასი ამჯობინებდა, რა თქმა უნდა, მშვიდობიანად აეღო ხელში ხელისუფლება¹. ამასთანავე ყოველთვის ითვალისწინებდა, რომ პატარა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომელთა გვერდით არიან სოციალისტური ქვეყნები, სოციალიზმში გადასვლა შეიძლება მოხდეს მშვიდობიანი გზით. იგი მიუთითებდა, რომ ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს არა მარტო კლასობრივ ძალთა თანაფარდობა ერთ, ცალკეულ ქვეყანაში, არამედ აგრეთვე გამარჯვებული სოციალიზმის არსებობა მეზობელ ქვეყნებში.

ჯერ კიდევ 1924 წელს, მტკიცედ იცავდა რა მარქსიზმ-ლენინიზმს ტროცკიზმისა და სხვა ჯურის მოწინააღმდეგეებისაგან, ი. ბ. სტალინი შრომაში „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ წერდა: „რა თქმა უნდა, შორეულ მომავალში, თუ პროლეტარიატი გაიმარჯვებს კაპიტალიზმის უმნიშვნელოვანეს ქვეყნებში და თუ დღევანდელი კაპიტალისტური გარემოცვა შეიცვალა სოციალისტური გარემოცვით, სავსებით შესაძლებელია განვითარების „მშვიდობიანი“ გზა ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნისათვის, რომელთა კაპიტალისტები, „არახელსაყრელი“ საერთაშორისო ვითარების გამო, მიზანშეწონილად ჩათვლიან „ნებაყოფლობით“ წავიდნენ სერიოზულ დათმობებზე პროლეტარიატის მიმართ“².

ჩინეთის კომუნისტური პარტიის, სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 334.

² ი. ბ. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 38—39, მე-II გამოც.



თავიანთ ქვეყნებში განხორციელებული დიადი სოციალისტური გარდაქმნები და თითოეულ ამ ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინება ნათლად გვიჩვენებს შესაძლებლობას მოიძებნოს ახალი ფორმები და ხერხები სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მშვიდობიანი გზით გადასვლისათვის, შეიარაღებული აჯანყებისა და სამოქალაქო ომების გარეშე. ეს შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც რეაქციული ძალები და სამხედრო-პოლიტიკური მანქანა შედარებით სუსტია, სადაც მუშათა კლასს შესწევს უნარი გააერთიანოს თავის გარშემო მშრომელი გლეხობა, ინტელიგენცია, მთელი პატრიოტული ძალები და მშვიდობიანი გზით უზრუნველყოს ძირეულ სოციალურ გარდაქმნათა განხორციელება. მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, სადაც გარდუვალია რეაქციული ძალების სერიოზული წინააღმდეგობა, იქ სოციალიზმში გადასვლა იწარმოებს მწვავე კლასობრივი რევოლუციური ბრძოლის პირობებში.

სამოქალაქო ომისა და შეიარაღებული აჯანყების გარეშე, რევოლუციის მშვიდობიანი განვითარებით სოციალიზმში გადასვლის საპარლამენტო გზა ჩვენი ქვეყნისათვის გამორიცხული იყო.

ამჟამად სოციალიზმი გადაიქცა მთელი კაცობრიობის პროგრესული განვითარების ძირითად დასაყრდენად. მსოფლიოს ყველა ქვეყნის მუშათა კლასმა კიდევ უფრო მეტად შეიგნო სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებით კაპიტალიზმის შეცვლის აუცილებლობა. მუშათა კლასი და მისი ავანგარდი პოლიტიკურად და ორგანიზებულად უფრო მეტად გამოწრთობილი და ბრძოლისუნარიანია. ხოლო ბურჟუაზიულ ქვეყნებში განვითარდა სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი. ამის შედეგად ხელისუფლება სულ უფრო მეტად თავს იყრის მცირერიცხოვანი, მაგრამ ეკონომიურად ძლიერი მონოპოლისტების ხელში, რომლებიც თავიანთი კერძო ინტერესებისათვის ატარებენ ხალხის საწინააღმდეგო საშინაო და საგარეო პოლიტიკას. იზრდება უფსკრული მათსა და ხალხს შორის, სულ უფრო ირღვევა დემოკრატიული თავისუფლებანი და იზრდება რეაქცია, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობს გამოსვლებში მუშათა კლასის დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად.

ასეთ პირობებში მუშათა კლასს, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, შესაძლებლობა ეძლევა აწარმოოს ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ დემოკრატიის, ნაციონალური დამოუკიდებლობისა და მშვიდობისათვის; თავის გარშემო შემოიკრიბოს ხალხთა ფართო მასები და პარლამენტში მტკიცე უმრავლესობის მოპოვე-



ბით თანდათანობით მოახდინოს სოციალური გარდაქმნები, ხორციელოს ძველი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილებით.

იტალიასა და საფრანგეთში, სადაც ძლიერ განვითარებულია მუშათა მოძრაობა, არსებობს საპარლამენტო ბრძოლის დიდი შესაძლებლობანი. აქ კომუნისტური და სოციალისტური პარტიები დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ მშრომელთა ფართო მასებში. არჩევნების დროს ხშირად იღებენ მანდატების ერთ მესამედს ან ნახევარ ნაწილს. მაგ., 1956 წ. 2 იანვარს საფრანგეთის კომპარტიის კანდიდატებს ხმა მისცა 5 მილიონ 600 ათასზე მეტმა ამომრჩეველმა. კომპარტიამ 94 მანდატის ნაცვლად მიიღო 151 და ნაციონალურ კრებაში გახდა წამყვანი პარტია.

ასეთივე დიდი მხარდაჭერითა და ავტორიტეტით სარგებლობს იტალიის კომუნისტური პარტია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 2,5 მილიონ წევრს: იტალიაში მშვიდობისა და თავისუფლებისათვის ხანგრძლივ ბრძოლაში ახლო თანამშრომლობაა დამყარებული კომუნისტებსა და სოციალისტებს შორის. მათ პარლამენტში ერთიანი მოქმედებით მიაღწიეს იმას, რომ იტალიის კონსტიტუციაში გაეთვალისწინებინათ რეფორმების ჩატარება შრომის უფლებათა უზრუნველსაყოფად, მსხვილი კაპიტალისტური, მონოპოლისტური წარმოებათა ნაციონალიზაციის მოსახდენად და სხვ. იტალიის კომუნისტურმა და სოციალისტურმა პარტიებმა, მაგალითად, 1953 წელს არჩევნებში მოაგროვეს 1,8 მილიონი ხმით მეტი, ვიდრე 1948 წელს, მაშინ როდესაც ქრისტიან დემოკრატთა პარტიამ დაკარგა დაახლოებით 2 მილიონი ხმა.

პარლამენტური განვითარების გზა გამორიცხული არ არის ინგლისისათვისაც. ჯერ კიდევ 1951 წელს ინგლისელმა კომუნისტებმა მიიღეს ცნობილი პროგრამა — „ბრიტანეთის გზა სოციალიზმისაკენ“, სადაც მითითებულია, რომ ინგლისის ხალხი შეძლებს გადააქციოს ბურჟუაზიული დემოკრატია ნამდვილ სახალხო დემოკრატიად პარლამენტის გამოყენების გზით, კაპიტალისტური უმცირესობის ხელიდან პოლიტიკური ძალაუფლების ჩამორთმევის გზით. ამ პროგრამის განსახორციელებლად ინგლისის კომუნისტური პარტია მოქმედებს მშრომელთა ფართო მასების დასარაზმავად, რათა მიაღწიოს საზოგადოებრივ პროგრესს, თავისუფლებასა და მშვიდობას¹.

ასეთივე გაცხადებებით გამოდიან ამერიკის შეერთებული

¹ იხ. ჟურნ. „ბოლშევიკი“, № 3, 1951.



კოლონიურ, ნახევრად კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სადაც ბევრია ფეოდალიზმის გადმონაშთები, სადაც უცხოელი კაპიტალისტების ჩარევით დაკარგული აქვთ ნაციონალური სუვერენიტეტი, მშრომელთა ფართო მასების საერთო დემოკრატიული ამოცანები მიმართულია ნაციონალური დამოუკიდებლობისა და ხალხთა თავისუფლებისაკენ. ეს საერთო დემოკრატიული მოძრაობა თანდათანობით ასუსტებს ბურჟუაზიას და ამზადებს ნიადაგს სოციალისტურ რევოლუციასზე გადასასვლელად.

ისმის კითხვა: როგორ გამოვიყენოთ ბრძოლის პარლამენტარული საშუალებანი? განა ბურჟუაზია ნებით დაგვითმობს ძალაუფლებას? განა დათანხმდება ძირეულ ცვლილებებზე? რასაკვირველია, არ დათანხმდება. მაგრამ საცხებით შესაძლებელია, რომ შექმნილ ხელსაყრელ საერთაშორისო ვითარებაში მუშათა კლასმა ქვეყნის შიგნით შექმნას ისეთი პოლიტიკური უპირატესობა ხალხის ფართო მასებისა ბურჟუაზიაზე, რომელიც აიძულებს მას დაემორჩილოს მშრომელთა ინტერესებს, „ნებაყოფლობით“ წავიდეს სერიოზულ დათმობებზე.

მარქსი და ენგელსი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მუშათა კლასი მოიპოვებს მშრომელი გლეხობისა და მოსახლეობის სხვა ექსპლოატირებული ფენების მხარდაჭერას და შეძლებს გაიზარდოს „გადამწყვეტ ძალად, რომლის წინაშეც ნებით თუ უნებლიეთ ქედი უნდა მოიხაროს ყველა სხვა ძალამ“¹. ამავე დროს ისინი მიუთითებდნენ, რომ მუშათა კლასს უნარი აქვს საყოველთაო საარჩევნო უფლება გადააქციოს „მოტყუების საშუალებიდან, როგორიც იგი იყო დღემდე, განთავისუფლების იარაღად“².

შესაძლებელია თუ არა ამ შემთხვევაში ბურჟუაზია წავიდეს ფაშისტური გზით? ასეთი გზა გამორიცხული არ არის. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ბურჟუაზია ფაშისტური გზით მიდის მაშინ, როცა ძლიერია, როცა მას გამარჯვების რეალური შესაძლებლობა აქვს. მაგრამ როდესაც ვლაპარაკობთ რომელიმე ქვეყნის მშვიდობიანი, პარლამენტარული გზით გადასვლის საკითხზე, ვგულისხმობთ, რომ ამ ქვეყანაში საქმე გვაქვს შედარებით სუსტ ბურჟუაზიასთან, რომელიც ვერ დაადგება ფაშიზმის გზას დამოუკიდებლად, საერთაშორისო რეაქციული ძალების ჩაურევლად.

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული თხზ., ტ. 1, გვ. 107 (რუს. გამოცემა).

² იქვე, გვ. 101.



აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როდესაც რევოლუციის განვითარების რეზიუმე „მშვიდობიან“ გზაზე ვლადარაჯობთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გამოირიცხებოდეს ყოველგვარი ბრძოლა, დალდატანება. ისტორიას არ ახსოვს და არც შეიძლება იყოს რევოლუცია დალდატანების გარეშე. ამ შემთხვევაში სიტყვა „მშვიდობიანი“ იხმარება იმ, გაგებით, რომ ექსპლოატატორებთან ბრძოლის პერიოდში ადგილი არ ექნება შეიარაღებულ აჯანყებას, სამოქალაქო ომს. მინიმუმამდე იქნება დაყვანილი ადამიანის დასჯის მეთოდები და მის ნაცვლად გამოყენებული იქნება დაჯერების, აღზრდის დემოკრატიული საშუალებანი.

ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარება კაპიტალიზმიდან სოციალისტური წყობილებისაკენ საბოლოო ანგარიშით ერთიანი მსოფლიო-ისტორიული პროცესია. ეს გადასვლა მშვიდობიანი ფორმით თუ არამშვიდობიანი ფორმით არის სოციალისტური რევოლუცია, რომელიც მუშათა კლასისა და მისი ავანგარდის ხელმძღვანელობით წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებას აქცევს საზოგადოებრივ საკუთრებად, სპობს ბურჟუაზიულ სახელმწიფო მანქანას და ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას. რევოლუციური გარდაქმნის სხვადასხვაობა თავს იჩენს ამ ერთიანი პროცესის ფარგლებში და განპირობებულია ობიექტური მიზეზებით, ქვეყნის განვითარების ისტორიული, სოციალური, ეკონომიური თავისებურებებით. სოციალიზმისაკენ მიმავალი სხვადასხვა გზა არ არის სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი გზები. პირიქით, ყველა ეს გზა ერთი მიზნისაკენ მიდის; მიმავალში სოციალიზმზე გადასვლა სხვადასხვა ქვეყნებში მოხდება კიდევ უფრო მეტი თავისებურებებით, პროლეტარიატის დიქტატურის სულ ახალი ფორმებით, რომლებიც განსაზღვრული იქნება არსებული ისტორიული ვითარებისა და ქვეყნის კონკრეტული თავისებურებებით. მაგრამ ეს თავისებურებანი შეეხება „მხოლოდ არა ყველაზე მთავარს“¹.

ცდილობენ რა აბნეულობა შეიტანონ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზების სხვადასხვაობის სრულიად კანონზომიერ და ნათელ საკითხში, იმპერიალისტური რეაქციის იდეოლოგები არაფერს ზოგავენ იმისათვის, რათა შეასუსტონ სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა, „დაამტყიკონ“, რომ სოციალიზმისაკენ მიმავალი გზების სხვადასხვაობა თითქოს ნიშნავდეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის უარყოფას, მის „მოძველებას“; ზოგიერთი

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 110.



ვაი-თეორეტიკოსი, რომლებიც არსებითად იყვნენ და კვლავაც არიან კაპიტალიზმის აბოლოგეტები, ცდილობს მარქსისტულ-ლენინისტურ თეორია სოციალისტური რევოლუციის შესახებ გადააქციოს რეფორმისტულ თეორიად. ისინი ასევე უდგებიან ცალკეულ ქვეყნებში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობის საკითხსაც. მარქსიზმის ეს დოგმატიკოსები, ებლაუჭებიან რა ცალკეულ დებულებებს, ანგარიშს არ უწევენ კონკრეტულ პირობებს. ამ შემთხვევაში იმას, რომ სოციალიზმი გადაიქცა მსოფლიო სისტემად და მოიცავს მთელი მოსახლეობის ერთ მესამედს; იშლება კაპიტალიზმის კოლონიალური სისტემა და იზრდება რევოლუციის სოციალური ბაზა, — მუშებთან და გლეხებთან ერთად ერთიანი ფრონტით გამოდიან ფართო მასები ინტელიგენციისა და ნაციონალური პატრიოტული ელემენტებისა; კომუნისტურ და დემოკრატიულ პარტიებს თავიანთ მხარეზე სულ თანდათან გადმოჰყავთ მოსახლეობის ფართო მასები, დემოკრატიის დროშა გადმოვიდა მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელში.

მარქსიზმის ეს ე. წ. „დამცველები“ „ამტკიცებენ“, თითქმის მართალი ყოფილიყვნენ სოციალ-დემოკრატები, რომლებიც, უარყოფდნენ რა პროლეტარიატის დიქტატურას, იცავდნენ მცირედი რეფორმების გატარებით სოციალიზმში რევოლუციის გარეშე გადასვლის „თეორიას“. სინამდვილეში ისინი ვერ ხედავენ რაიმე განსხვავებას სოციალიზმში გადასვლის პარლამენტარულ გზასა და რეფორმისტულ სოციალიზმს შორის. მათ არ იციან ან არ სურთ იცოდნენ, რომ სოციალიზმში გადასვლის მშვიდობიანი გზა არავითარ შემთხვევაში არ არის რეფორმისტული გზა, რომელიც უარყოფს რევოლუციას. მშვიდობიანი გზით, სამოქალაქო ომის გარეშე, ზოგიერთი ქვეყნისათვის სოციალიზმში გადასვლა იქნება სოციალური რევოლუცია, რომელიც მოსპობს წარმოების ძირითად საშუალებათა კერძო საკუთრებას; ეს გზა მიმართულია იქითკენ, რომ საზოგადოების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა გადავიდეს ორგანიზებულად, პოლიტიკურად და თეორიულად მომზადებული მუშათა კლასის ხელში. ეს გზა საბოლოო ანგარიშით გულისხმობს კაპიტალისტური საზოგადოების შეცვლას სოციალისტური საზოგადოებით. ამრიგად, სოციალიზმში გადასვლის პარლამენტარულ გზას საერთო არაფერი აქვს რეფორმისტულ იდეოლოგიასთან, რომელიც ფაქტიურად უარყოფს კლასობრივ ბრძოლას, კაპიტალისტური წყობილების დამხობის აუცილებლობას, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელ როლს და, მამასადამე, საბო-



ლო ანგარიშით უარყოფს მარქსისტულ მოძღვრებას სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ. სწორედ ასე იქცეოდნენ მეორე ინტერნაციონალის თბორტუნისტი ბელადები და სხვა მოწინააღმდეგეები, რომლებიც მარქსიზმის ძირითადი დებულებების რევიზიის თავიანთ ცდებს ხშირად ფარავდნენ განცხადებით, რომ ისინი „იცავენ“, „ასწორებენ“, „აუმჯობესებენ“ მარქსიზმს და რომ მათი ძირითადი მიზანი სოციალიზმის აშენებაა.

უფრო მეტიც, ბურჟუაზიის იდეოლოგები ფაქტების საწინააღმდეგოდ ენერგიას არ ზოგავენ, რათა გააბათილონ თანამედროვე ლობადი კაპიტალიზმის მარქსისტულ-ლენინური შეფასება და იგი დაახასიათონ, როგორც ჯანსაღი და ყველაზე-პროგრესული მოვლენა.

იმპერიალისტური რეჟიმის ეს თავგამოდებული დამცველები თავიანთი ასეთი მოქმედებით მიზნად ისახავენ სახელი გაუტეხონ, მეცნიერულ სოციალიზმს, დაამახინჯონ იგი, უარყონ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მშრომელთა კეთილდღეობისათვის გატარებული ღონისძიებები, ხელი შეუშალონ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ამით დაღუპას გადაარჩინონ კაპიტალიზმი.

სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი იმპერიალისტური წრეები ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ იმისათვის, რათა განხეთქილება შეიტანონ სოციალისტურ სახელმწიფოთა ოჯახში, შეასუსტონ სოციალიზმის მშენებელ ხალხთა ერთიანობა და მეგობრობა, ჩამოაშორონ ისინი ერთმანეთს და შემდეგ შეეცადონ მათ სათითაოდ მოსპობას. იმპერიალისტური წრეები სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ უმაგალითო მასშტაბით აწარმოებენ ძირგამომთრეღ მუშაობას, რაზედაც ასიგნებულია მრავალი მილიონი დოლარი. სულ უფრო აჩადებენ ცრუ რადიოპროპაგანდას, რომელიც აბიაბრუებს სოციალიზმის ისტორიულ მიღწევებს; გზავნიან ნაცად ჯაშუშებსა და დივერსანტებს, უშვებენ საჰაერო ბურთებს ცილისმწამებლური ბროშურებით და ფურცლებით. არ წყდება იმის ცდები, რომ სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებში შექმნან კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთი დამხობილი ექსპლოატატორული კლასების ნაშთებისაგან. მტერი თავისი ვერაგული მიზნებისათვის იყენებს აგრეთვე დროებით სიძნელეებსა და შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იქნა ზოგიერთ სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებში.

ყოველივე ეს დაადასტურა უნგრეთში მომხდარმა ამბებმა, სადაც კონტრრევოლუციამ სცადა გამოეყენებინა მოსახლეობაში დაგროვილი უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეული იყო ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომებით ქვეყნის ეკონომიური, პოლი-



ტიკური და კულტურული საკითხების გადაწყვეტაში. პარტიის ხელმძღვანელობამ და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა სათანადო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს და ვერ უზრუნველყვეს ხალხის სამართლიან მოთხოვნათა დაკმაყოფილება, კონტრრევოლუციური ელემენტების აშკარა ძირგამომხრელ შეთქმულებათა წინააღმდეგ საჭირო ზომების მიღება.

ხალხთა სტიქიური უკმაყოფილება, რომელმაც უნგრეთში 23 ოქტომბრიდან მიიღო დემონსტრაციის ფორმა, გამოიყენეს კონტრრევოლუციურმა ძალებმა; ისინი წინასწარ ყოველმხრივ იყვნენ მომზადებული (ჰყავდათ სამხედრო ხელმძღვანელი ცენტრი, გაწვრთნილი ძალები, განსაზღვრული იყო თავდასხმის ობიექტები და სხვ.).

როგორც დასავლეთის ბურჟუაზიული გაზეთებიც კი გულახდილად წერდნენ, უნგრეთის ამბებს დიდხანს და გულდასმით ამზადებდნენ, ერთი მხრივ, ქვეყნის შიგნით ბურჟუაზიულ-მემამულური რეაქციული წრეები, რომელთა მიზანი იყო აღედგინათ ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილება, და, მეორე მხრივ, საერთაშორისო იმპერიალისტური რეაქცია, რომელმაც ძირითადი და განმსაზღვრელი როლი შეასრულა ამ საქმეში და რომლის მიზნები სცილდებოდა უნგრეთის საზღვრებს...

ასეთ პირობებში საბჭოთა მთავრობას არ შეეძლო დარჩენილიყო სახალხო-დემოკრატიულ უნგრეთში ფაშისტური რეაქციის სისხლიანი თარეშის გულგრილ მაცურებლად. სოციალისტური ქვეყნის დახმარება უნგრეთის მუშათა კლასისადმი გამომდინარეობს სოციალისტურ ქვეყნებს შორის არსებული პროლეტარული ინტერნაციონალური სულისკვეთებისაგან. ჩვენმა ქვეყანამ უნგრეთში ჯარი შეიყვანა უნგრეთის მთავრობის თხოვნით, ვარშავის ცნობილი ხელშეკრულების საფუძველზე.

უნგრეთში რეაქციისა და ფაშიზმის გამარჯვება იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ უნგრელი მშრომელები არა მარტო დაკარგავდნენ ყველა მონაპოვარს, რომლებსაც მათ მიადწიეს მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, არამედ საფრთხე შეექმნებოდა სხვა სოციალისტურ ქვეყნებსაც, მიუახლოებდა რა მათს საზღვრებს იმპერიალისტურ ბაზებს. „ევროპის ცენტრში ფაშისტური უნგრეთი, რომ გამოჩენილიყო, — წერდა 1956 წლის 23 ნოემბრის „პრავდა“, — აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში მდებარე მთელი რიგი ქვეყნების პოლიტიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვლებოდა, ხოლო საერთაშორისო ვითარება მთლიანად ევროპის კონტინენტზე უქვევლად გაუარესდებოდა“.



კაპიტალისტების ყოველგვარი ცდა განწირულია. შეიძლება საერთაშორისო იმპერიალისტებმა, ისე როგორც ვიეტნამში, კორეაში, ტაივანზე, ეგვიპტეში და უნგრეთში, სხვაგანაც მოაწყონ პროვოკაციული ჩარევა, შეიძლება კიდევ მრავალი ტანჯვა-წამება მიაყენონ მსოფლიოს მშრომელ ხალხებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ისტორიის ჩარხის უკან შემობრუნება; მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია მიუხედავად ყოველგვარი ასეთი ცდებისა გაიმარჯვებს!



В. ГУРГЕНИДЗЕ

**Марксизм-ленинизм о различных формах
перехода от капитализма к социализму**

(На грузинском языке).